ლელო

№95
(11 141)

3 – 5 დეკემბერი, 1997 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვულოცავთ „ყოჩებს!“

რაგბიში 30-ე ეროვნული ჩემპიონატის ფინიშზე, უძლიერესის გამოსავლენ გადამწყვეტ მატჩში, მართლაც რომ ქართული რაგბის ორი ღირსეული წარმომადგენელი შეხვდა ერთმანეთს – „ყოჩები“ და „აია“. ქუთათურელებთან ამ საჩემპიონო დავაში „ყოჩებმა“, რომლებიც მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურად და მონდომებით ასპარეზობდნენ, კვლავ მაღალი კლასი აჩვენა და 20:8 (12:3) სძლია მეტოქეს (მატჩი ჩატარდა თბილისში, 26 მაისის სახელობის ვაკის სტადიონზე, ყოფილი „ლოკომოტივი“).

მესამე საპრიზო ადგილი უბრძოლველად მიენიჭა რუსთავის „აზოტს“, რომლის მოცილე თბილისის „ლოკომოტივი“, რუსთავში სათამაშოდ არ გამოცხადდა. მიზეზებში ალბათ გაერკვევიან...

ფოტოები ალექსანდრე კოტორაშვილისა.

„ყოჩები“ – საქართველოს ჩემპიონი!

კვლავ მარცხი

საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა ნაკრებმა კვლავ მარცხი განიცადა — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე შეხვედრაში 89:85 (46:54) წააგო, სტუმრად, სტოკჰოლმში, შვედეთის ნაკრებთან.

„ბუმათე“

ფეხბურთის გულშემატკივართა ხმა

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს
პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ჟვანიას
სახელმწიფო მინისტრს ბატონ ნიკო ლეკიშვილს
იუსტიციის მინისტრს ბატონ თედო ნინიძეს
სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს
ბატონ კახი ასათიანს

პირველ ყოვლისა, გვინდა მადლობა გადაგიხადოთ ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბ „ქართლოსის“ სახელით იმ თანადგომისათვის, რომელიც ბატონო პრეზიდენტო, პირადად თქვენ გამოიჩინეთ ბატონ ნიკო ლეკიშვილის ინიციატივით წამოწყებული ჩვენი კლუბის შექმნის სასიკეთო საქმის დაგვირგვინებაში. მადლობა გვინდა ვუთხრათ ბატონებს თედო ნინიძეს, კახი ასათიანს, თბილისის მერს ბადრი შოშიტაიშვილს, მთაწმინდის რაიონის გამგებელს სოსო ჩხიკვიშვილს, რომელთა თანადგომით და ძალისხმევით რეალობად იქცა მრავალი თაობის ოცნება – დედაქალაქში, ვერის ბაღში, ოფიციალურად დაგვეფუძნებინა ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბი. ესაა ათწლეულობით შექმნილი და განმტკიცებული გულშემატკივრის ინსტიტუტის, მისი ფუძემდებლის, ჩვენს შორის სიყვარულით „ბელადად“ ცნობილი ქართლოს სვანიძის, კლუბის თითოეული წევრის ღვაწლის დიდი დაფასება. ქართლოსის და არაერთი თაობის ნატვრა იყო გვეხილა ჩვენი ეროვნული ნაკრები და საკლუბო გუნდები მსოფლიოს სარბიელზე ეროვნული დროშით.

გვინდა ერთხელ კიდევ დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ არ ვერევით არანაირ პოლიტიკურ საქმიანობაში. ფეხბურთის გულშემატკივართა დიდი არმიის ერთადერთი მიზანია მხარში ვედგეთ ქართულ ფეხბურთს, გავიხაროთ მისი ღირსეული წარმოჩენით მსოფლიო საფეხბურთო სამყაროში.

ის აჟიოტაჟი, რომელიც ბოლო ხანებში გაჩაღდა ქართული ფეხბურთის ირგვლივ, ვფიქრობთ, ზიანის გარდა არაფერს მოგვიტანს. ჩვენ შეშფოთებული ვართ მოსალოდნელი შედეგებით. ამიტომ მოგმართავთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო და ყველას, ვისი მისამართითაც იწერება ეს წერილი, ჩავაცხროთ დაძაბულობა!

ბატონო ედუარდ! მხოლოდ თქვენ უნდა თქვათ გადამწყვეტი სიტყვა – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალ ყრილობამდე შეაჩეროთ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და იუსტიციის სამინისტროს ერთობლივი ბრძანება, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი საფეხბურთო სამყარო საზოგადოებრიობასთან ერთად გულდინჯად, ვნებათაღელვის გარეშე მოემზადოს სფფ-ს ახალი ყრილობისთვის, სადაც ხელმძღვანელ პოსტებზე, როგორც ეს დემოკრატიულ პრინციპებს შეეფერება, თვით საზოგადოებრიობა ფეხბურთის სამყაროსთან ერთად წამოაყენებს თავიანთ კანდიდატურებს, მათ შორის ჩვენი მრავალრიცხოვანი კლუბიც. ახლა არაფრით არ შეიძლება ხელი შევუშალოთ სფფ-ს მონაწილეობა მიიღოს ევროპის ახალი ჩემპიონატის წილისყრაში. ასევე დინჯად, ქართული ფეხბურთის ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოგვარდეს სხვადასხვა საკითხები, რაც ხელისუფლების ცალკეული შტოს გულისწყრომას იწვევს. ეჭვიც არ გვეპარება, რომ არ არსებობს გადაუჭრელი პრობლემა თუკი იქნება კეთილი ნება და ურთიერთპატივისცემა. ჩვენ სწორედ ამის იმედი გვაქვს.

პატივისცემით,
ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბ „ქართლოსის“ წევრთა დავალებით და სახელით

გიორგი (გიგლა) ჯაყელი,
კლუბის პრეზიდენტი.

ნოდარ ანდრიაძე: ფიფას გამაფრთხილებელი ფაქსი ყალბი არ არის, უბრალოდ, იქაც ადამიანები მუშაობენ და გამოგზავნის თარიღი აერიათ

დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ფიფადან სფფ-ში მოსულმა გამაფრთხილებელმა ფაქსმა, რომელშიც გენერალური მდივანი იოზეპ ბლატერი კატეგორიულად მოითხოვს აღადგინონ თავის უფლებებში ნოდარ ახალკაცი და დავით კვინიკაძე. გაუგებრობა გამოიწვია შეტყობინებაზე დასმულმა თარიღმა, რამაც ეჭვი დაბადა — მისი სიყალბისაც კი. ფედერაციამ ფაქსი 28 ნოემბერს მიიღო და ამ დღეს მოსული შეტყობინება სინამდვილეში 19 ნოემბრით არის დათარიღებული. ან ფიფაში შეეშალათ რიცხვი, ან, საერთოდ რაღაც მაქინაციასთან გვაქვს საქმე.

გუშინ „ლელომ“ კომენტარისათვის მიმართა სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტს ნოდარ ანდრიაძეს. აი, რა განაცხადა მან: „ფიფას გამაფრთხილებელი ფაქსი ყალბი არ არის, უბრალოდ, იქაც ადამიანები მუშაობენ და გამოგზავნის თარიღი აერიათ. ჩვენ დავუკავშირდით ფიფას სამდივნოს, სადაც ძალიან შეწუხდნენ მომხდარი ფაქტის გამო და ბოდიშიც მოგვიხადეს. ამჟამად ბლატერი მარსელში იმყოფება, სადაც აგვარებს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრის პროცედურის ორგანიზაციულ საკითხებს. ჩამოვა თუ არა, აუცილებლად გავასწორებთ ჩვენს შეცდომასო, გვითხრეს ფიფას სამდივნოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა“.

უკანასკნელ საათს

ბლატერი წუხს და განმარტავს...

გაზეთის დასაბეჭდად გაგზავნის წინ, ცნობილი გახდა, რომ ფიფადან მოვიდა ფაქსი იოზეპ ბლატერის ხელმოწერით, რომლითაც იგი ადასტურებს, რომ ფაქსი მართლაც 28 ნოემბერს გაიგზავნა თბილისში ფიფადან და 19 ნოემბერი დოკუმენტზე შეცდომითაა მითითებული. ბლატერი ფიფას სახელით მწუხარებას გამოთქვამს, რომ თბილისში 28 ნოემბერს გამოგზავნილმა ფაქსმა გაუგებრობები გამოიწვია.

სეზონის რჩეულნი

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა სპორტის ოლიმპიურ სახეობებში 1997 წელს ჩვენი ქვეყნის სპორტსმენების მიერ მოპოვებული მაღალი შედეგების მიხედვით გამოავლინა ერთი ლაურეატი და ათი საუკეთესო ათლეტი. ლაურეატად აღიარებულია მოკრივე გიორგი კანდელაკი. 10 საუკეთესო კი ანბანის მიხედვით ასე გამოიყურება:

შოთა არველაძე – ფეხბურთი, კობა გოგოლაძე – კრივი, გიორგი ვაზაგაშვილი – ძიუდო, თამაზ იმნაიშვილი – სასტენდო სროლა, ელდარ კურტანიძე, დავით პოღოსიანი – (ორივე – თავისუფალი ჭიდაობა), გიორგი რევაზიშვილი – ძიუდო, თემურ ქეცბაია – ფეხბურთი, აკაკი ჩაჩუა და გიორგი ჯინჭველაშვილი (ორივე – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა).

სააგენტო „ბუმათე“

დაჯილდოება

სპორტულ ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის და დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „მევარდენის“ სამმართველოს უფროსი თამაზ ძოწულაძე.

მილოცვა

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს თამაზ ძოწულაძეს.

ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი 16 წლამდე ნაკრებებს შორის

უგულო თამაშის შედეგი

საქართველო – უკრაინა 0–4

საქართველო: გოგია, ხიზანეიშვილი, ჩივაძე (კანდელაკი), საჯაია, თავბერიძე, ადამია, შენგელია, ხიზანიშვილი (ნორაკიძე), წუწუნავა, დეკანოსიძე, ხუროძე.

უკრაინა: კალადიუკი (კუსლი), სმალკო, შერშუნი, რიუგინი, სტოიანი (საენკო), კომარნიტსკი, ბუდნენკო, კონდრატოვიჩი (ბატრაჩენკო), სიმანენკო, გერასიმენკო, მატვეევი.

გოლები: 0-1 ბედნენკო (30), 0-2 გერასიმენკო (34), 0-3 კომარნიტსკი, 0-4 გერასიმენკო (66).

გაფრთხილება: ხიზანეიშვილი, თავბერიძე.

მსაჯი: ა. გეცოვი (ბულგარეთი).

ამ ჯგუფში ყველაფერი გარკვეული იყო. უკრაინამ ვადამდე გაინაღდა პირველი ადგილი და მათთვის პრაქტიკული მნიშვნელობა ამ მატჩს აღარ ჰქონდა. არც ჩვენი ბიჭებისათვის. რევანშის აღება იყო ამოცანა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, მათ ესეც ვერ მოახერხეს და სამგუნდიან ჯგუფში ბოლოში აღმოჩნდნენ. შეხვედრის დასაწყისშივე ბედნენკომ თითქმის პირისპირ გაიყვანა სიმონენკო, მაგრამ კუთხე მახვილი იყო და მისი დარტყმული მცირედით ასცდა გოგიას კარს. შემდეგ თამაშის ინიციატივას თითქოს ქართველები დაეუფლნენ, რამდენიმე მწვავე იერიშიც ვიხილეთ, მაგრამ დამაგვირგვინებელ სტადიაში ყველაფერი ქარწყლდებოდა. 30-ე წუთზე უკრაინელთა კონტრშეტევისას მარცხნიდან ჩამოწოდებული ბურთი გოგიამ მოიგერია, მაგრამ ყველას მეტოქის ნახევარმცველმა ბედნენკომ დაასწრო და ანგარიში გახსნა. მალე კი ამას მატჩში ყველაზე აქტიური გერასიმენკოს გოლიც მოჰყვა – მცველების უხეში შეცდომის შედეგად.

მეორე ნახევარში კოსტავამ ცვლილებებს მიმართა დაცვაში, მაგრამ ეს არ იყო პანაცეა. შეცდომები მეორდებოდა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ დაცვასთან ერთად მეკარეც სცოდავდა — არადამაჯერებლად მოქმედებდა. მესამე გოლი სანახაობრივად ყველაზე

იხ. მე-2 გვ

„ლელოს" რედაქციაში გამართული ღია დიალოგის კვალდაკვალ

ყველა სიკეთე, დაცლილი აუზების წყალს გაჰყვა

ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინათ, საქართველოში მრავალი ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა მუშაობდა საწყლოსნო სახეობების განხრით, იყო უმაღლესი დაოსტატების სკოლებიც რჩეულთათვის. ცხადია, სოლიდური თანხები იხარჯებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მაგრამ დანახარჯისა და სპორტული შედეგის შეფარდების უკუგება თუ მაინცდამაინც შთამბეჭდავი და დიდად საამაყო არ იყო, უმთავრესი ამოცანა – მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, ცურვის მასობრივი შესწავლა გვქონდა გარანტირებული სახელმწიფოს მიერ. ცხადია, თავისთავად იგულისხმება მოსახლეობის მასობრივი გაჯანსაღებაც.

დღეს სახელმწიფო ვერც საცურაო აუზების პატრონობას და ვერც სპორტსკოლების (ერთი ორი გამონაკლისის გარდა), შენახვას ვერ უზრუნველყოფს. გაიფანტნენ კადრებიც (ამ თემაზე ცალკე ვისაუბრებთ). ერთი სიტყვით, ის სიკეთე, რაზედაც ზემოთ ითქვა, წარსულს ჩაბარდა, იმ დაცლილი აუზების წყალს გაჰყვა და ტკბილ მოგონებად იქცა.

ამ დროს ჩვენში არსებობს წყალთა სახეობების ეროვნული ფედერაცია. რა არის ეს, საქმიანი თუ ფიქტიური ორგანიზაცია? ჩვენ ფაქტებს დავასახელებთ, რის შემდეგ დასკვნის გამოტანა, ვფიქრობთ, აღარავის გაუჭირდება. 1998 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სულ საქართველოში წყალთა სახეობების განვითარებისთვის გამოყოფილია 50 ათასი ლარი. ვიმეორებთ, წყალთა სახეობებისთვის (ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა), რაღა თქმა უნდა, ამ თანხაში შედის შეჯიბრებებში მონაწილეობა. იმის თქმას არ ვაპირებთ, რომ მეტის შესაძლებლობა იყო და ვინმემ მომჭირნეობა გამოიჩინა. პირიქით, თითქმის დამტკიცებული 40 ათასი, სპორტის დეპარტამენტმა, პირადად კახი ასათიანმა გაზარდა 10 ათასით. ადრე ამდენ თანხას ერთი სპორტსკოლის შენახვას ახმარდნენ...

ბუნებრივია, იბადება კითხვა, თავს ხომ არ ვიტყუებთ? მაგრამ ერთი დამამშვიდებელი გარემოება მაინც იკვეთება – ეს მინიმალური თანხა საჭიროა თუნდაც იმისთვის, რომ ძაფზე დაკიდებული მემკვიდრეობითობა შევინარჩუნოთ. დიდ სპორტში სერიოზული შედეგებისთვის ისევ და ისევ კეთილი უცხოელი მეგობრებისა, ჩვენი პატრიოტი ბიზნესმენების იმედად უნდა დავრჩეთ. სხვა გზა და გამოსავალი, ჯერჯერობით, ნამდვილად არ არის.

რეგიონალური შეჯიბრებები

ზემოსვანელების გარეშე

სენაკი თანდათან იბრუნებს „სპორტულ პროფილს", რაშიც დიდია რაიონის გამგებლის ტარიელ დგებუაძისა და სპორტკომიტეტის თავმჯდომარის თენგიზ ბოჭორიშვილის წვლილი. სწორედ ამიტომაც შეირჩა ეს რაიონული ცენტრი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონის პირველობის მასპინძლად. მონაწილეობდნენ სენაკის, ხობის, აბაშის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის რაიონების 1983-85 წლებში დაბადებული ჭაბუკები. სამწუხაროა; რომ ზემო სვანეთიდან წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: **თორნიკე დანელია, დათო ლატარია, ზვიად სიმონია, ვალერი მურღულია, თენგიზ ტყებუჩავა** (ყველა — სენაკი), **მანუჩარ ცხადაია, დათო კვიკვინია, რამაზ ბაბილონია, პაპუნა დოჩია** (ყველა — ხობის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი), **ერასტი სიჭინავა, გურამ ვეკუა** (ორივე — ჩხოროწყუ, ხობის ორს-ი), **ჯანო მიქაია** (წალენჯიხა).

„ლელოს" საკ. კორ.
სენაკი

გაზეთ „ლელოს" რედაქციას!

ეს წერილი ბათუმიდან მივიღეთ. თუმცა წამოჭრილ საკითხთან „ლელოს" პირდაპირი კავშირი არა აქვს, გავითვალისწინეთ ავტორის დაბეჯითებული თხოვნა იმ იმედით, რომ მისალებს და საყურადღებოს ლატარიების ორგანიზატორი ჩვენი გულისხმიერი მეგობრები, უყურადღებოდ არ დატოვებენ.

„ლატარია ყველასათვის" და „საოჯახო ლოტოს" გათამაშება რატომ გახდა „ვიწრო თბილისური წრის საკუთრება?" თუ ეს გათამაშებები მართლა ყველასათვისაა, მაშინ უნდა იყოს ყველასათვის და არა ისე, როგორც ახლაა. რატომაა რომ სოლიდური მოგებების დიდი ნაწილი გათამაშებისას დარბაზში მყოფთ ეძლევათ. უმჯობესი იქნება ეს მოგებები გადანაწილდეს იმ ბილეთებზე, რომელსაც ყველა ვყიდულობთ. უმჯობესი იქნება, დიდი თანხები და ნივთები, გაუთამაშებელ ჯეკ-პოტთან ერთად „დახურდავდეს", რათა მეტი იღბლიანი გამოვლინდეს. ამით მხიარული ადამიანების რიცხვი გაიზრდება. ისიც გვინდა ვთქვათ, რომ თუ ბილეთების ფასი 25 თეთრია, რატომ უნდა გადავიხადოთ ზედმეტი? უმჯობესი იქნება ეს ზედმეტი თანხა მიიღოს სახელმწიფო ბიუჯეტმა და არა სპეკულიანტებმა. მივაქციოთ ყურადღება იმასაც, რომ ხშირად ითიშება ტელევიზორი და ჩვენ ვერ „ვესწრებით" გათამაშებას. ამიტომ, იქნებ ტელეგადაცემა დავიწყოთ ერთი საათით ადრე, ბოლოს კი გამოცხადდეს ყველა კოჭები, რომლებმაც გათამაშებაში არ მიიღო მონაწილეობა, თანაც გვაჩვენონ ის კოჭები. და კიდევ, დროა ბათუმშიც გვქონდეს მსგავსი ფილიალი და იქ იყიდებოდეს ბილეთები, განმარტებები, თამაშის პირობები და ა.შ.

რეზო კუკულაძე,
საქართველოს დამსახურებული ექიმი,
პერსონალური პენსიონერი,
ბათუმი

უგულო თამაშის შედეგი

(პირველი გვერდიდან)

ლამაზი გამოდგა. მატვეევმა მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა. კომარნიტსკიმ შენგელიას დაასწრო და ვარდნაში მეკარისაგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გაგზავნა ბურთი. მეოთხე გოლიც გერასიმენკომ გაიტანა, მეკარის უხეში შეცდომის შემდეგ.

გოგა ლომიძე

P.S. თითქმის მიილია 1997 წელი. საქართველომ დაასრულა საერთაშორისო გამოსვლები სპორტის ამ სახეობაში. მისმა უპირველესმა ნაკრებმა ვერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური. 18 წლამდე ნაკრებმა ხელიდან გაუშვა კარგი შანსი. აგერ, კოსტავას ნაკრებმაც, უფროსი წინამორბედების ბედი გაიზიარა. ჭაბუკებმაც შინ, ორივე შეხვედრა დათმეს, ისე, როგორც „დინამომ" უეფას თასის გათამაშების მეთექვსმეტე ფინალში.

აღრიცხვიანობა აღსდგა

სტატისტიკა, ნებისმიერ სფეროში, დინამიკის თვალნათლივ წარმოჩენის საუკეთესო საშუალებაა. სპორტული მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში კარგა ხანს იყო მოკლებული ასეთ აღრიცხვიანობას ბოლო წლებში. ახლა ძველი ტრადიცია კვლავ აღსდგა. საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა შემოიღო „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ" წლიური ანგარიშის ჩაბარების პრაქტიკა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 1997 წლის 6 ივნისს დამტკიცებული ფორმის მიხედვით ანგარიშებს წარადგენენ ქვეყნის ავტონომიური დანაყოფები, ცალკეული ქალაქები და რაიონები მიმდინარე წლის 30 იანვრამდე სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში. ამის შემდეგ სპორტის დეპარტამენტი ნაკრებ ანგარიშს წარუდგენს სტატისტიკის დეპარტამენტს.

შოტოკან კარატე-დო საქართველოს ღია ჩემპიონატი

მონაწილეთა სიმრავლე კარგი ნიშანია!

ვერაზე, კალათბურთის სასახლეში, შოტოკან კარატე-დოში საასპარეზოდ საქართველოს ღია ჩემპიონატში თავი მოიყარა 270-მა მონაწილემ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ორგანიზატორები — საქართველოს შესაბამისი ფედერაცია (პრეზიდენტი კახა ბასილია), კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი გიორგი ბარამიძე) და საქართველოს მოქალაქეთა კავშირი. მსაჯთა კოლეგიას უძღვებოდა თემურ რამიშვილი. საინტერესოა, რომ გამარჯვებულთა და პრიზიორთა დასაჯილდოებლად მოწვეული იყო ოლიმპიური ჩემპიონი რაფაელ ჩიმიშკიანი.



8-9 წლიანები. 1. გიორგი ბოლქვაძე (ქუთაისი), 2. ნოდარ თუშიშვილი (თბილისი), პაპუნა მამასახლისი (ქუთაისი) და გოჩა ლუაშვილი (თბილისი); 10-11 წლიანები: 1. გურამ ზაქარეიშვილი (გორი), 2. ლევან ტოგონიძე, 3. რატი ხუნწარია და ბერდია არაბული (ყველა — თბილისი); 12-13 წლიანები: 1. დავით აბრამიშვილი (თბილისი), 2. გიორგი ცუხიშვილი (თელავი), 3. დათო ჩხენკელი და თორნიკე ხუციშვილი (ორივე — თბილისი); 14-15 წლიანები: 1. იონა ხუციშვილი (თბილისი), 2. გიორგი გოლოშვილი (გორი), 3. ვანო სიმონიშვილი (თელავი) და მიშიკო ჯიშკარიანი (ქუთაისი); 16-17 წლიანები: 1. დათო ქვანია (სენაკი), 2. მაყაშვილი (გორი), 3. დავითაშვილი და ლოცუაშვილი (ორივე — თბილისი).

კატა. ვაჟები: 1. გიორგი გოლოშვილი (გორი), 2. სერგო ბონდარენკო, 3. ზაქრო გაბეცაძე (ორივე — თბილისი) და მიშიკო ჯიშკარიანი (ქუთაისი); გოგონები: 1. ნათია გიორგანაშვილი (თელავი), 2. ანჟელა კისკეიძე (ქუთაისი), 3. ქეთინო გოგობერიშვილი და ეთერ გავაშელი (ორივე — თბილისი).

ირინე სიდამონიძე

პროფესიული კრივის სამყაროში

ალის დაავადება თითქოს მიიძურწება

უკვე 16 გრძელი წელიწადია, რაც მოჰამედ ალი პარკინსონის სენს ებრძვის, მაგრამ თვალები ძველებურად სპორტული ჟინით უბრწყინავს.

– მე ისევ ისე ყველაზე დიადი ვარ, – წყნარი, სრულ ჩურჩულში გადასული ხმით აცხადებს 55 წლის მოკრივე. მის სამშობლოში, აშშ-ში დიდი ხანია მიეჩვივნენ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი სპორტსმენის ავადმყოფობას და ამ თემაზე მეტს აღარ მსჯელობენ; თუმცა, ახლახან ბევრმა შენიშნა, რომ მას გამოკეთების სიმპტომები უჩანს.

სამკურნალოდ ალი ხმარობს წამალს „მირაპექსი", რომელიც აშშ-ში მხოლოდ წლევანდელ ივლისში მოიწონეს. მისი ცოლი კი დარწმუნებულია, რომ გაუმჯობესება სხვა წამალთან – „არტანესთან" არის დაკავშირებული.

– დიდხანს ალი საერთოდ არ იღიმებოდა, – ჰყვება მეუღლე, – მაგრამ „არტანე" მოეხმარა სახის კუნთების მოდუნებაში, რომლებიც თითქოს სენისაგან მოყინულს ჰგავდა.

პარკინსონის დაავადება, რომლითაც მარტო აშშ-ში 60-ზე მეტი წლის ადამიანთა ერთი პროცენტია შეპყრობილი, ტვინსაც სწვდება, რაც ცუდად აისახება კუნთების მუშაობაზე.

ალი ვაჟკაცურად არ ნებდება სენს, „გიჟური" გრაფიკით ცხოვრობს, მთელ პლანეტაზე მოგზაურობს, უამრავ დროს ახმარს ქველმოქმედებას. ამას გარდა, ფეხით სიარული უყვარს, ზოგჯერ დღეში ხუთ მილს ფარავს! ერთ რეპორტიორს, ამას წინათ, მიაძახა: „სპორტულ დარბაზში შევხვდებითო!" დიახ, მას წინანდებურად უყვარს მოკრივის დარტყმების იმიტირება და მგონი ამ დარტყმების ქვეშ ავადმყოფობა ნელნელა მიიძურწება.

თამაზ ილმელი

ჭადრაკის ამბები

მეორე ადგილი – ზედიზედ მესამედ!

საერთაშორისო ოსტატი თამარ ხმიადაშვილი სისტემატიურად მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონატებში ვეტერანთა შორის. იცვლებიან ჩემპიონები: 1995 წელს – ნონა გაფრინდაშვილი, 1996 წელს – ვალენტინა კოზლოვსკაია, 1997 წელს – ტატიანა ზატულოვსკაია, თამარ ხმიადაშვილი კი ზედიზედ მესამედ იკავებს მეორე ადგილს! ეს ისეთი შედეგია, რომელიც დიდოსტატს შეეფერება.

წლევანდელი ჩემპიონატი ქალაქ ბად-ვილბადში (გერმანია) ჩატარდა 32 დიდოსტატისა და ოსტატის მონაწილეობით. 11 შესაძლებლიდან 9-9 ქულა მოაგროვეს დიდოსტატმა ტატიანა ზატულოვსკაიამ (რუსეთი), თამარ ხმიადაშვილმა, დიდოსტატმა ჰანნა ერენსკა-რაძევსკამ (პოლონეთი) და შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა დიდოსტატმა ვალენტინა კოზლოვსკაიამ (რუსეთი). პრიზებიც სწორედ ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა.

ვეტერან ვაჟთა ჩემპიონატი 1991 წლიდან ტარდება. აქ გაიმარჯვეს ვასილი სმისლოვმა, ეფიმ გელერმა, შემდეგ ზედიზედ ორჯერ მარკ ტაიმანოვმა და 1995 წელს – ევგენი ვასიუკოვმა. შარშან უძლიერესი ალექსეი სუეტინი იყო.

წლეულს, 11 შესაძლებლიდან 9 ქულით გაიმარჯვა ცნობილმა ლატვიელმა საერთაშორისო ოსტატმა იანის კლოვანმა, რომელიც 62 წლისაა, მას ნახევარი ქულით 6 მოჭადრაკე ჩამორჩა: საერთაშორისო ოსტატი ბორის არხანგელსკი (რუსეთი), დიდოსტატი ანატოლი ლეინი (აშშ), დიდოსტატი მარკ ტაიმანოვი (რუსეთი), დიდოსტატი ვლადიმირ ბაგიროვი (ყოფილი ბაქოელი, ახლა ლატვიის მოქალაქეა), საერთაშორისო ოსტატები ოლეგ ჩერნიკოვი (რუსეთი) და დირკ ვან ჰეიტი (ჰოლანდია).

დამატებითი მონაცემებით ვერცხლის მედალი არხანგელსკის ერგო, ბრინჯაოსი – ლეინს.

კარპოვი ემზადება

როგორც ცნობილია ფიდემ ანატოლი კარპოვს დიდი უპირატესობა მისცა – იგი მსოფლიო პირველობაზე პირდაპირ უკანასკნელი სტადიიდან – მერვე წრიდან ჩაებმება.

ამასობაში კი კარპოვმა თავისებური საწვრთნელი მატჩი გამართა ამავე მსოფლიო პირველობის მონაწილეებთან, ინდონეზიელ დიდოსტატ უტუტ ადიანტოსთან. მატჩი ჯაკარტაში გაიმართა.

მატჩი თავისებური იყო იმიტომ, რომ პირველი ორი პარტია დიდოსტატებმა „დაფაზე დაუხედავად" გაითამაშეს, სადაც მათ სვლების მოსაფიქრებლად სულ 25-25 წუთი ჰქონდათ. პირველი შეხვედრა კარპოვმა მოიგო, მეორე ადიანტომ.

შემდეგ გაიმართა ორი ნორმალური „სრული" პარტია. აქ პირველი მოიგო ინდონეზიელმა, მეორე ყაიმით დასრულდა. დაწინაურდა ადიანტო – 2,5:1,5.

მეხუთე და მეექვსე პარტიები კვლავ 25-წუთიანი კონტროლით იყო, ოღონდ „დაფაზე დაუხედავად" კი არა, სწრაფი ჭადრაკის წესებით. მეხუთე ყაიმით დასრულდა, მეექვსე კარპოვმა მოიგო და მატჩში ანგარიში გაათანაბრა – 3:3.

ახლა უკვე „ბლიცი" დაინიშნა, სადაც კარპოვმა ორი პარტია მოიგო, ერთი ყაიმით დაასრულა და გაიმარჯვა მატჩში საერთო ანგარიშით 5,5: 3,5

უკანასკნელი რეპეტიცია

ბელგრადის სუპერტურნირის მონაწილეების დიდი უმეტესობისათვის ეს შეჯიბრება უკანასკნელი რეპეტიცია იყო მსოფლიო პირველობის წინ.

9 შესაძლებლიდან 6-6 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ვასილი ივანჩუკმა (უკრაინა) და ვიშვანათან ანანდმა (ინდოეთი). უკეთესი დამატებითი მონაცემების გამო გამარჯვებულად ივანჩუკი გ[illegible]ხადდა. მან 3 პარტია მოიგო, დანარჩენი 6 კი ყაიმით დაასრულა. ანანდმა 4 პარტია მოიგო, მაგრამ დამარცხდა ლოტიესთან.

5,5 ქულით მესამე ადგილი დაიკავა ალექსეი შიროვმა (ესპანეთი). მე-4-6 ადგილები 5-5 ქულით გაიყვეს ჟოელ ლოტიემ (საფრანგეთი), ვლადიმერ კრამნიკმა (რუსეთი) და ბორის გელფანდმა (ბელორუსია). ალექსანდრ ბელიავსკიმ (სლოვენია) 4,5 ქულა მოაგროვა.

კომპიუტერს დაეხმარა თუ კომპიუტერი დაეხმარა

მაისში კომპიუტერმა „დიპ ბლიუმ" მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთან მატჩში სენსაციური გამარჯვება რომ იზეიმა, ბევრმა ექსპერტმა ეს გარკვეულწილად მისი მთავარი საჭადრაკო კონსულტანტის, დიდოსტატ ჯოელ ბენჯამინის დამსახურებადაც მიიჩნია.

ამის შემდეგ გარკვეული ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდა დიდოსტატის მონაწილეობამ ამერიკის შეერთებული შტატების მორიგ ჩემპიონატში, რომელიც ახლებური სისტემით ჩატარდა – 16 მონაწილე ორ ჯგუფად დაყვეს, საიდანაც ორ-ორი გამარჯვებული ნახევარფინალში გადიოდა და აგრძელებდა ბრძოლას ჩემპიონობისათვის.

„ა" ჯგუფში 7 შესაძლებლიდან 5-5 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა ლარი კრისტიანსენმა და ჯოელ ბენჯამინმა. ამ ჯგუფში მარცხი იწვნიეს: ჯონ ფედოროვიჩმა (4 ქულა), ბორის გულკომ, ალექსეი ერმოლინსკიმ და უოლტერ ბრაუნმა (3-3 ქულა).

„ბ" ჯგუფში 4,5 – 4,5 ქულით პირველი – მეორე ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა გრიგორი კაიდანოვმა და იასერ სეირავანმა. მარცხიანად ითამაშეს ნიკ დე ფირმიანმა (4) და რომან ჯინჯიხაშვილმა (3,5). ეს საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა, რომ რომან ჯინჯიხაშვილმა აშშ-ს პირველობაზე დადებით შედეგს ვერ მიაღწია.

ნახევარფინალში მეტოქეებს 4-4 პარტია უნდა ეთამაშათ. პირველ ნახევარფინალში ბენჯამინმა იოლად, ვადამდე მოუგო კაიდანოვს – 2,5:0,5. მეორე ნახევარფინალში ბრძოლა ძალიან გაჭიანურდა და დამატებით პარტიებში კრისტიანსენმა ანგარიშით 8:6 სძლია სეირავანს.

6-პარტიიანი ფინალური მატჩის ანგარიშია 3,5:2,5 ბენჯამინის სასარგებლოდ. გამოდის რომ, ახალგაზრდა დიდოსტატიც დაეხმარა „დიპ ბლიუს", და ეტყობა, „დიპ ბლიუც" დაეხმარა ბენჯამენს, რომელიც აშკარად მომძლავრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი
გამოტოვებელი მატჩი

ტორპედო (ქუთაისი) — მეტალურგი (რუსთავი) 4-0

ტორპედო: **ასლანაძე, ხვადაგიანი, თურმანიძე, შეყრილაძე, მაღლაკელიძე (გეწაძე), შ. ხუჯაძე (შენგელია), კვეტენაძე, მეტრეველი, ჩხეტიანი (ვაჩიბერაძე), გ. მეგრელაძე, იონანიძე.**

მეტალურგი: **ბედიაშვილი, მჭედლიძე, სილაგაძე, ბიჭიაშვილი, ა. ლურსმანაშვილი, ზირაქაძე, სებისკვერაძე, ჩოხელი, ლობჟანიძე (სოხაძე), კარანაძე (ქერაშვილი), ლ. ალადაშვილი.**

გოლები: **იონანიძე (54), გ. მეგრელაძე (66), მეტრეველი (72), კვეტენაძე (75).**

გააფრთხილეს: **შენგელია, სილაგაძე**

მსაჯი: **თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი)**

ფათერაკიანი აღმოჩნდა ქუთაისური ეს ვოიაჟი რუსთავის გუნდისთვის. ჯერ იყოდა, გზაში ავტობუსი გაუფუჭდათ და ამიტომ მატჩი 10-წუთიანი დაგვიანებით დაიწყო. მეორე ტაიმი კი სტუმრებმა კაცნაკლული დაიწყეს — გასახდელში ფეხბურთელი ჩოხელი „დარჩენიათ" და მხოლოდ მეოთხე მსაჯის დახმარებით მიუწვდენიათ მისთვის ხმა. მანამდე კი ტაიმზე მეტი დასჭირდათ მასპინძლებს გაეტეხათ ახალგაზრდა რუსთაველი ფეხბურთელების წინააღმდეგობა — ინდივიდუალური სოლოგარღვევით ანგარიში იონანიძემ გახსნა, ხოლო შემდეგ, ათწუთიან ინტერვალში, ქუთათურებმა ბედიაშვილს კიდევ სამი გაუტანეს.

მაშ ასე, პირველ წრეში ჩასატარებელი დარჩა მხოლოდ ერთი მატჩი, რომელიც დღეს ბათუმში გაიმართება და დიდ ინტერესს იწვევს — აჭარელი დინამოელები თბილისელ თანაკლუბელებს მიიღებენ.

სატურნირო ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო (თბ)	14	12	2	0	40-5	38 (–4)
ოდიში	15	10	1	4	23-21	31 (–14)
დინამო (ბთ.)	14	8	5	1	29-10	29 (–13)
უნივერსიტეტი	15	7	4	4	21-11	25 (–20)
კოლხეთი-1913	15	7	3	5	31-15	24 (–21)
ტორპედო	15	6	6	3	24-16	24 (–21)
მორკინალი	15	5	6	4	17-13	21 (–24)
ლოკომოტივი	15	5	5	5	17-23	20 (–25)
მერანი-91	15	7	3	5	21-17	19 (–26)
დილა	15	6	1	8	15-23	19 (–26)
მეტალურგი	15	5	0	10	15-29	15 (–30)
სამგურალი	15	4	2	9	17-32	14 (–31)
გურია	15	3	4	8	18-30	13 (–32)
სიონი	15	4	5	6	24-19	12 (–33)
მაღაროელი	15	3	2	10	12-33	11 (–34)
მარგვეთი	15	1	3	11	11-38	6 (–39)

შესარჩევი ტურნირის ჩატარების სისტემა უცვლელი დარჩა

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატში გაისად 5 ან 6 სექტემბერს ჩაერთვება

2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კენჭისყრა 18 იანვარს, ბელგიის ქალაქ გენტში შედგება, ხოლო ფინალური შეჯიბრება, მოგეხსენებათ, ერთობლივად ორ ქვეყანაში — ბელგიასა და ჰოლანდიაში გაიმართება. ახლახანს ცნობილი გახდა, რომ უეფამ გადაწყვიტა უცვლელი დატოვოს ევრო-2000-ის ჩატარების სისტემა. ამასთან, არის განმასხვავებელი მომენტებიც. ასე, უეფამ მკაცრად დაცული გრაფიკი შეადგინა, რომელიც ეროვნულ ფედერაციებს დაუგზავნა.

განურჩევლად რეიტინგისა და ტრადიციებისა, ყველა ნაკრებმა რვავე (ან ათივე) მატჩი დადგენილ დღეს უნდა გამართოს და გამონაკლისი არავისთვის იქნება დაშვებული. მეტიც, ათი სათამაშო დღე ხუთ პერიოდად არის დაყოფილი და შესაბამისად, თითოეულ ნაკრებს ზედიზედ მოუწევს ორი მატჩის ჩატარება.

შესარჩევი ტურნირის მატჩების ჩატარების გრაფიკი:

პირველი დღე:	5 ან 6 სექტემბერი, 1998 წელი
მეორე დღე:	10 ან 11 ოქტომბერი, 1998 წელი
მესამე დღე:	13 ან 14 ოქტომბერი, 1998 წელი
მეოთხე დღე:	27 ან 28 მარტი, 1999 წელი
მეხუთე დღე:	30 ან 31 მარტი, 1999 წელი
მეექვსე დღე:	5 ან 6 ივნისი, 1999 წელი
მეშვიდე დღე:	9 ივნისი, 1999 წელი
მერვე დღე:	4 ან 5 სექტემბერი, 1999 წელი
მეცხრე დღე:	7 ან 8 სექტემბერი, 1999 წელი
მეათე დღე:	10 ან 11 სექტემბერი, 1999 წელი

გოლები გააქვს... მეხუთე დივიზიონში

ახლო წარსულში კარგად ცნობილი ბელორუსი ფეხბურთელი სერგეი ალეინიკოვი საერთოდ გადასახლდა იტალიაში. თავისი სერიოზული ასაკის, 36 წლის მიუხედავად, ალეინიკოვი მაინც არ ეთხოვება ფეხბურთს — თამაშობს სერია „D"-ში, რაც მეხუთე იტალიური დივიზიონი გახლავთ. ვეტერანმა დაამტკიცა, რომ ამ დონეზე კიდევ შეუძლია გოლების გატანა.

«ბეპე-გოლი» სახელს ვერ ამართლებს

„ბეპე-გოლი" შესანიშნავ იტალიელ თავდამსხმელ ჯუზეპე სინიორის ჰქვია. დიახ, მან 1995-96 წლების სეზონში იტალიელ სნაიპერთა დავაში გაიმარჯვა და საერთოდ, მეტად პოპულარული ფეხბურთელია, მაგრამ...

ამ სეზონში მას საქმე გაუფუჭა გენუის „სამპდორიიდან" რომის „ლაციოში" ცნობილ შვედ სპეციალისტ სვენ-გორან ერიქსონის გადმოსვლამ, რობერტო მანჩინისა და ალან ბოკშიჩის მოწვევამ, თუ გნებავთ პიერლუიჯი კაზირაგის ჩინებულმა მზადყოფნამ. ახლა „ლაციოში" ძირითადად ეს ფეხბურთელები ბრწყინავენ. „ბეპე-გოლი" კი რას გახდება, თუ მინდორზე არ გამოიყვანენ.

ორი განსხვავებული «ჰეთ-თრიკი»

„ბრონდბიუს" თავდამსხმელმა ებე სანდმა დანიის ჩემპიონატის რეკორდი დაამყარა. „ვეილესთან" შეხვედრაში მან 4 წუთისა და 2 წამის განმავლობაში სამი ბურთი გაიტანა. მომდევნო მატჩში „ორხუსთან" ამ მეტად სწრაფმა თავდამსხმელმა კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა და „ჰეთ-თრიკი" შეასრულა, თუმცა, ეს უკვე რეკორდი აღარ იყო — ამისათვის 10 წუთის დახარჯვა დასჭირდა.

მაია ჩიბურდანიძე

ნანა იოსელიანი

ქეთევან არახამია

ნინო გურიელი

ქეთევან კახიანი

ორი საგზურის ათი პრეტენდენტი

დიდი ხნის დაგვიანების შემდეგ 8 დეკემბერს გრონინგენში (ჰოლანდია) იწყება ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების მატჩ-ტურნირი. შეჯიბრებას, გასაგებია, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მან უნდა შეარჩიოს ორი უძლიერესი მონაწილე, რომელიც შემდეგ გადამწყვეტ მატჩში შეხვდება ერთმანეთს მსოფლიო ჩემპიონ ჟუჟა პოლგართან (უნგრეთი) პაექრობის უფლებისათვის. ვთქვათ ისიც, რომ პრეტენდენტთა შეჯიბრებას „მარათონული" ხასიათი აქვს, რასაც საჭადრაკო სამყარო თითქმის გადაეჩვია — 10 დიდოსტატი ერთმანეთს ორ-ორჯერ შეხვდება, 18 პარტიის თამაში კი, ცხადია, ძალიან ძნელია და სპეციალურ მომზადებას მოითხოვს. და კიდევ ერთი — უკანასკნელ მომენტში მონაწილეთა შორის მოხდა ცვლილება — ვესნა მისანოვიჩის (ბოსნია და ჰერცეგოვინა) ნაცვლად ითამაშებს კიდევ ერთი ქართველი — ნინო გურიელი.

როგორ ემზადებოდნენ მოჭადრაკეები ამ მართლაცდა უმნიშვნელოვანესი ასპარეზობისათვის?

მაია ჩიბურდანიძე (1961 წ. 17. 1. მსოფლიოში მესამე რეიტინგი – 2525) წელს ბევრს და წარმატებით თამაშობდა. მან მონაწილეობა მიიღო რუსეთის თასის გათამაშებაში, თავის ახლანდელ მწვრთნელ საერთაშორისო ოსტატ ხვიჩა სუპატაშვილთან ერთად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მაიას პირველი ადგილი გერმანიის ქალაქ ლიპშტადტში, სადაც იგი ერთადერთი მონაწილე ქალი იყო. უკანასკნელად მან ითამაშა ლოზანაში, მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში ვაჟთა შორის, სადაც რამდენიმე პარტია მაღალ დონეზე წარმართა. ახლა გრონინგენში მაიას არა მარტო ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს მონაწილეთა შორის, არამედ, პირველი ადგილის ძირითად პრეტენდენტადაც ითვლება. აქ ხაზი უნდა გაესვას ტურნირის ხანგრძლივ ხასიათსაც, რაც ხელსაყრელია ჩიბურდანიძის სტილის მოჭადრაკისათვის. მაია ხომ, როგორც წესი, მძიმედ იწყებს ასპარეზობას და თანდათან „შედის ეშხში". ერთი სიტყვით, ვხახოთ, მაია ჩიბურდანიძის გულშემატკივრები ოპტიმისტურად არიან განწყობილი. ბოლოს და ბოლოს, 36 წლის ასაკში ხომ შეიძლება მსოფლიო ჩემპიონობის დაბრუნებისათვის ბრძოლა?! სათანადო მაგალითების მოყვანა, ვფიქრობ, არ არის საჭირო.

ნანა იოსელიანი (1962. 12.2. მსოფლიოში მეხუთე რეიტინგი – 2520) კარგა ხანია პრაღაში ცხოვრობს და მონაწილეობს ადგილობრივ გუნდურ შეჯიბრებებში. მისი უკანასკნელი გამოსვლებიდან უნდა აღინიშნოს ორი: მონაწილეობა პოპულარულ ტურნირში „ქალბატონები სენიორების წინააღმდეგ" და მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში ვაჟთა შორის. სპორტული თვალსაზრისით აქ რაიმე წარმატებას ადგილი არა ჰქონია (თუ არ ჩავთვლით მატჩის მოგებას მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ბორის სპასკისთან 1,5:0,5), მაგრამ ამდენმა შეხვედრამ მსოფლიოს წამყვან დიდოსტატ ვაჟებთან არ შეიძლება უშედეგოდ ჩაიაროს. ნანამ უკვე ითამაშა ორი მატჩი მსოფლიო პირველობაზე, და, გასაგებია, ახლა ყველაფერს გააკეთებს, რათა მესამედ მოიპოვოს ეს უფლება. ნანას ტალანტისა და შესაძლებლობის მოჭადრაკეს, ვფიქრობთ, აქვს ამის შესაძლებლობა. ჯერ კი, რა თქმა უნდა, საჭიროა ბრძოლა პირველი ან მეორე ადგილისათვის, რაც ამ შემთხვევაში ერთი და იგივეა.

ქეთევან არახამია (1968 წ. 19.7. მსოფლიოში მეთოთხმეტე რეიტინგი – 2430), ახლა, ვფიქრობთ, ოპტიმალურად არის მომზადებული და ასევე იბრძოლებს პირველი ან მეორე ადგილისათვის. ზაფხულში კოპენჰაგენში მან ბრწყინვალედ ითამაშა შეჯიბრებაში „ქალბატონები სენიორების წინააღმდეგ", თუმცა სჯობს თვით ამ ტურნირის მონაწილეს, განთქმულ დიდოსტატ მარკ ტაიმანოვს მოვუსმინოთ: „ქალბატონებს, ისევე, როგორც შარშან, ტონს აძლევდა ამ შეჯიბრებების „ხნიერი" მონაწილე ქეთევან არახამია. პირდაპირ შეიძლებოდა აღფრთოვანების გამოხატვა ამ მოხდენილი და მომხიბლავი ქალის გაბედულებით, ენერგიითა და გამარჯვებისაკენ სწრაფვით. მან ნამდვილი გმირობა ჩაიდინა, ორი დამარცხება აგემა სენიორების ლიდერს, მძლავრ ვასილი ვასილის ძე სმისლოვს, თანაც ორჯერვე რთულ სტრატეგიულ ბრძოლაში, კორიფეს მისსავე „ტერიტორიაზე" აჯობა, ორმა ენდშპილში... როგორ წუხდა ვასილი ვასილის ძე, ენდშპილში რომ ასეთი კატასტროფა მოუვიდა." ტაიმანოვს ძალიან მოეწონა არახამიას მიერ ლაიოშ პორტიშთან ჩატარებული პარტია, სადაც გამარჯვებულმა ქალმა დიდი ოსტატობა გვიჩვენა. არახამიამ წარმატებით წარმართა ცალკეული შეხვედრები მსოფლიოს ვაჟთა ჩემპიონატში ლოზანაში.

ნინო გურიელი (1961 წ. 7.12. მსოფლიოში მეორმოცე რეიტინგი – 2370), სინამდვილეში, რა თქმა უნდა, გაცილებით უკეთესად თამაშობს, ვიდრე ამას რეიტინგის კომპიუტერული გამოთვლა გვიჩვენებს. იგი ხშირად მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებში შვეიცარიული სისტემით, სადაც ასწრებს არა მარტო ქალებს, არამედ, ზოგჯერ ცნობილ დიდოსტატ ვაჟებსაც. შესანიშნავად თამაშობდა ლოზანაში მსოფლიო ჩემპიონატში ვაჟთა შორის. ნინო 1980 წელს იღებდა მონაწილეობას პრეტენდენტთა ასპარეზობაში, სადაც იგი წილისყრამ ნონა გაფრინდაშვილს გადაჰყარა. შემდეგ თამაშობდა საზონათაშორისო ტურნირებში. განსაკუთრებით არ გაუმართლა 1995 წელს კიშინიოვში, სადაც გაიყო პრეტენდენტთა შეჯიბრებაში გამავალი ადგილი, მაგრამ საგზური დამატებითი მონაცემებით მაინც ვესნა მისანოვიჩს დაუთმო. ახლა უკვე მდგომარეობა შეიცვალა – მისანოვიჩმა ვერ შეძლო გრონინგენში გამგზავრება და ეს უფლება გურიელს „დაუთმო".

ქეთევან კახიანი (1971 წ. 11.9. მსოფლიოში მეთექვსმეტე რეიტინგი – 2415) ახლა გერმანიის №1 მოჭადრაკეა, ამ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების ლიდერი. მას სათანადო სატურნირო პრაქტიკა აქვს. განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა კახიანის რაციონალური ტაქტიკა კიშინიოვის საზონათაშორისო ტურნირში, სადაც ქართველმა მოჭადრაკემ სრულიად დამაჯერებლად მოიპოვა პრეტენდენტთა ტურნირის საგზური. ამ შეჯიბრებას ქეთევანი, გასაგებია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, ამიტომ ყოველი წლევანდელი გამოსვლა სწორედ პრეტენდენტთა ასპარეზობას დაუკავშირა. ქეთევანმა სთხოვა თავის პირველ მწვრთნელსა და მასწავლებელს, ოსტატ გიორგი მაჭარაშვილს, კვლავ დაეხმაროს ამ შეჯიბრების მსვლელობის დროს. მაჭარაშვილი იმედოვნებს, რომ კახიანმა წარმატებით უნდა იასპარეზოს გრონინგენში. ჯერ ერთი, ადრე იგი უკვე მონაწილეობდა პრეტენდენტების ასპარეზობაში და იქ, სხვათა შორის, დამარცხებული ჰყავს მსოფლიოს მომავალი ჩემპიონი სიუ ჟუნი. მეორე – კახიანი ახლა იმ ასაკშია, როცა მოჭადრაკეს უკვე დიდი წარმატებები ხელეწიფება.

ახლა ზოგი რამ დანარჩენი 5 პრეტენდენტის შესახებ.

პია კრამლინგი (1963 წ. 23.4. მსოფლიოში მეოთხე რეიტინგი – 2520) უკვე მრავალი წელია მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი დიდოსტატია. იგი სისტემატიურად მონაწილეობს პრეტენდენტთა ასპარეზობებში, საკმაოდ წარმატებითაც, მაგრამ აი მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლება ვერა და ვერ მოიპოვა. ამას იგი, ეტყობა, ამ ციკლში შეეცდება. კრამლინგს ეხმარება მისი მეუღლე ესპანელი დიდოსტატი ხუან ბელონი. ვთქვათ ისიც, რომ, როცა მეუღლეები ერთად მონაწილეობენ საერთაშორისო ტურნირებში, კრამლინგი ხშირად ასწრებს... ბელონს.

სიუ ჟუნმა (1970 წ. 30.10 მსოფლიოში მეშვიდე რეიტინგი – 2495) უკვე მოასწრო მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებაც და ამ წოდების დაკარგვაც. ახლა იგი, შეიძლება ითქვას, თავად იწყებს ბრძოლას. ჩინელი მოჭადრაკე ბევრს თამაშობს, მონაწილეობს „ქალბატონებისა და სენიორების" ტურნირებში, ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრებებში შვეიცარიული სისტემით. ბევრი შეჯიბრება ეწყობა ჩინეთში, ზოგი სპეციალურად სიუ ჟუნის მომზადების მიზნით. ერთხელ სიუ ჟუნს მატჩიც კი მოუწყეს ისეთ მეტოქესთან, როგორიც ვიქტორ კორჩნოია.

ალისა მარიჩი (1970 წ. 10.1. მსოფლიოში მეთერთმეტე რეიტინგი – 2460) სისტემატიურად მონაწილეობს პრეტენდენტთა ასპარეზობებში, უთამაშია პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში, ლიდერობს იუგოსლავიის ნაკრებს. თავისი მაღალი კლასი მარიჩმა გვიჩვენა უკანასკნელი სეზონის არაერთ საერთაშორისო ტურნირში, იუგოსლავიაში გუნდურ შეჯიბრებებში. იგი მეტად მტკიცედ თამაშობს და თვით უძლიერესი პრეტენდენტებისათვისაც კი ძნელი დასაძლევი იქნება.

ალისა გალიამოვა (1972 წ. 18.1. მსოფლიოში მეცამეტე რეიტინგი – 2445) უკვე კარგა ხანია უკრაინის ქალაქ ლვოვიდან, სადაც იგი ცნობილ დიდოსტატ ვასილი ივანჩუკზე იყო გათხოვილი, მშობლიურ ყაზანში დაბრუნდა და ისევ რუსეთის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. გალიამოვას უკანასკნელი გამოსვლებიდან უნდა აღინიშნოს მის მიერ რუსეთის პირველობაზე დამაჯერებლად დაკავებული პირველი ადგილი.

პენგ ჟაოცინი (1968 წ. 8.5. მსოფლიოში ოცდამესამე რეიტინგი – 2400) მრავალნაცადი დიდოსტატია, ადრე საზონათაშორისო ტურნირებშიც უთამაშია და პრეტენდენტთა ასპარეზობაშიც. ჩინელი მოჭადრაკე, როგორც წესი, მეტად შეუპოვარია და თუ საპრიზო ადგილზე გამოსვლის პრეტენზია არ ექნება, მეორე მხრივ, არც მასთან ქულის მოპოვება იქნება იოლი.

ერთი სიტყვით, საცაა დაიწყება მიმდინარე საჭადრაკო ციკლის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება, რომელმაც ნათლად უნდა გვიჩვენოს „ვინ არის ვინ" ქალთა შორის და ვის შეიძლება ჰქონდეს მსოფლიო ჩემპიონ ჟუჟა პოლგართან შეხვედრის პრეტენზია.

ბიჟი გამრეკელი



ახლა დანდი ჯარშია...

გერმანიის ნაკრების მწვრთნელ ბერტი ფოგტსის წინაშე კარგა ხანია დგას თავდამსხმელების პრობლემა. თუ წლების განმავლობაში წინა ხაზზე უცვლელად რჩებოდა, მხოლოდ კლინსმანის კანდიდატურა (ახლა მასაც წყალი შეუდგა), დანარჩენი ფორვარდები ბუნდესტრენერის მოთხოვნებს მთლიანად ვერ აკმაყოფილებდნენ. ამითაც იყო გამოწვეული სამხრეთაფრიკელი შონ დანდის მიერ გერმანიის მოქალაქეობის მიღება, იმედი იმისა, რომ საუკეთესო სნაიპერი მსოფლიო ჩემპიონატში გამოადგებოდათ.

მაგრამ ფეხბურთს თავისი კანონები აქვს, სახელმწიფოს – თავისი. რახან გერმანიის მოქალაქე გახდა, შონ დანდი ჯარში გაიწვიეს და 1 ნოემბრიდან ბუნდესვერის მოსამსახურედ ითვლება. თუ ორი წლის წინ დანდიმ „კარლსრუეს“ შემადგენლობაში 16 გოლი გაიტანა, შემდეგ – 17, ახლა იგი აშკარად სუსტად თამაშობს და სულ ერთი გოლი გაიტანა. დიახ, მატჩებში მონაწილეობის მისაღებად ჯარიდან კი ანთავისუფლებენ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, სათანადო მომზადებას ვერ ახერხებს. ისე, რომ ბერტი ფოგტსს ახალი დარდი გაუჩნდა – შეძლებს კი შონ დანდი ზაფხულისათვის ისეთნაირად თამაშს, როგორც ნაკრებს შეეფერება?

ჯერ საკმაო დროა

ჯერ მსოფლიო ჩემპიონატამდე საკმაო დროა და ნაკრებების მწვრთნელები კვლავინდებურად ცდიან დებიუტანტებს, ამავე დროს, რა თქმა უნდა, ცდილობენ გუნდის ჩვეული სათამაშო სტილის შენარჩუნებას. ასე, მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებთან უკანასკნელ ამხანაგურ მატჩში გერმანელებს (მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 3-0) ორი დებიუტანტი ჰყავდათ: დიტერ ჰამანი და თომას ლინკე, ამასთან, ჰამანმა გახსნა კიდეც ანგარიში. ინგლისელებმა კამერუნელებთან ანგარიშით 2-0 მოგებულ მატჩში მოუხმეს დებიუტანტ რიო ფერდინანდს (ლეს ფერდინანდის მოგვარეს), რომელიც გამოდგა ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტი ნაკრებში უკანასკნელი 38 წლის მანძილზე.

რაც შეეხება ესპანელთა მწვრთნელ ხავიერ კლემენტეს, იგი, მართალია ექსპერიმენტების მოყვარულია, მაგრამ ამჯერად დაცვით ხაზებს უცვლელად ტოვებს, ცდის მხოლოდ თავდამსხმელებს. ასეთები იყვნენ უკანასკნელ, რუმინელებთან მატჩში (1-1) ბილბაოს „ატლეტიკის“ ფორვარდები ხორდი ლარდინი და ხოსებ ეჩევერია.

FRANCE 98
COUPE DU MONDE

FRANCE 98 INFORMATIONS

ყველა ფინალისტი ცნობილია

ქვეყანა	რამდენჯერ ითამაშა ფინალში	საუკეთესო შედეგი
ბრაზილია	15	1958, 62, 70, 94 წწ.-ის მსოფლიო ჩემპ.
საფრანგეთი	9	1958 (III ადგილი), 1982 (III), 1986 (IV)
ავსტრია	6	1934 (IV), 1954 (III)
ბელგია	9	1986 (IV)
ბულგარეთი	6	1994 (IV)
ხორვატია	–	–
დანია	1	1986 (II რაუნდი)
ინგლისი	9	1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი
გერმანია	13	1954, 74, 90 წლების მსოფლიო ჩემპ.
იტალია	13	1930, 34, 82 წლების მსოფლიო ჩემპ.
ჰოლანდია	6	1974 (II), 78 (II)
ნორვეგია	2	1938, 94 (პირველი რაუნდი)
რუმინეთი	6	1994 (მეოთხედფინალისტი)
შოტლანდია	7	1954, 58, 74, 78, 82, 86, 90 (I რაუნდი)
ესპანეთი	9	1950 (IV)
იუგოსლავია	8	1930, 1962 (IV)
არგენტინა	11	1978, 86 წლების მსოფლიო ჩემპიონი
ჩილე	6	1962 (III)
კოლუმბია	3	1990 (მეორე რაუნდი)
პარაგვაი	4	1986 (მეორე რაუნდი)
კამერუნი	3	1990 (მეოთხედფინალისტი)
მაროკო	3	1986 (მეორე რაუნდი)
ნიგერია	1	1994 (მეორე რაუნდი)
სამხრეთ აფრიკა	–	–
ტუნისი	1	1978 (პირველი რაუნდი)
ირანი	1	1978 (პირველი რაუნდი)
იაპონია	–	–
საუდის არაბეთი	1	1994 (მეორე რაუნდი)
სამხრეთ კორეა	4	1954, 86, 90, 96 (I რაუნდი)
იამაიკა	–	–
მექსიკა	10	1970, 86 (მეოთხედფინალისტი)
აშშ	5	1930 (ნახევარფინალისტი)

ირანმა ალაჰის დახმარებით საფრანგეთის ბოლო საგზური მოიპოვა

მელბურნში, „კრიკეტ გრაუნდის“ სტადიონზე აბორიგენთა 80-ათასიანი არმია გაოგნებით და შურით ალსავსე შეჰყურებდა 5 ათას აზიელთა ყიჟინას — ამ დღეს ირანელებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ბოლო საგზური მოიპოვეს. „ჩვენი ფეხბურთელები ხომ მაგრები არიან, მაგრამ თავისი წვლილი ამ გამარჯვებაში ალაჰმა და აიათოლა ჰომეინიმ შეიტანეს“ — თქვეს გახარებულმა ირანელმა გულშემატკივრებმა.

ავსტრალია — ირანი 2-2 (პირველი მატჩი 1-1)

ავსტრალია: ბოსნიჩი, მური (არნოლდი), ჰორვატი, ტობინი, ლაზარიდისი, სლეიტერი (ტ. ვიდმარი), ფოსტერი, ზელიჩი, ა. ვიდმარი (ტაპაი), ქიული, ვიდუკა.

ირანი: აბედზადე, მაჰდავიკია, ხაქპური, ალი პაიარავანი, ესტილი, ბაღერი, შაჰროოდი (მანსურიანი), ფაშაზადე, საადავი (ტაჰამი, ოსტატ ასადი), აზიზი, ალი დაეი.

გოლები: 1-0 ქიული (32), 2-0 ა. ვიდმარი (48), 2-1 ბაღერი (77), 2-2 აზიზი (80).

მატჩის დამთავრებას 13 წუთიღა აკლდა და მასპინძლები, რომლებიც 2-0-ს იგებდნენ, დროის გაჭიანურების ტაქტიკას დაადგნენ. დროის ამ მონაკვეთამდე, ვიღაც მინდორზე გამოვარდნილ ჰომოსექსუალისტის მეოხებით გამოწვეულ პაუზას თუ არ ჩავთვლით, მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო. მეხუთე კონტინენტელთა საფრანგეთში მოხვედრას თითქოს ალარაფერი უნდა აღდგომოდა წინ. მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ გერმანულ კლუბებში მოთამაშე ირანელი თავდამსხმელები — მათ შესაშური გულცივობით გოლებში გარდასახეს ავსტრალიელთა მიერ ყურადღების მოდუნება.

-ქერიმ ბეგბერიმ ავსტრიელებსაც გაუტანა...

რომარიოს ესპანური ეპოპეა

ის, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი რომარიო ესპანეთში ბევრს ვერაფერს აღწევს, თავისებურ ინტერესს იწვევს. ვნახოთ, რას ფიქრობს ამის შესახებ „ვალენსიის“ ყოფილი მწვრთნელი ხორხე ვალდანო.

● ***როცა „ვალენსიაში“ დაიწყეთ მუშაობა, განაცხადეთ, რომ გინდოდათ ამ კლუბში რომარიოს დაბრუნება, რომელსაც დიდი წუხილის გარეშე გამოეთხოვა თქვენი წინამორბედი ლუის არაგონესი. არსებობს აზრი, რომ რომარიოს აუტანელი ხასიათი აქვს.***

— შევეცადოთ გავიგოთ, რა დაემართა რომარიოს „ვალენსიაში“. უბრალოდ, გავუგოთ რომარიოს. იგი გულშემატკივრებისა და ჟურნალისტების ყურადღების ქვეშ მოექცა, რომლებიც კონტროლს უწევდნენ ფეხბურთელის ყოველ ნაბიჯს (ეს ისტორია ძალიან ჰგავს მარადონას გამოთხოვებას „ნაპოლისთან“). გაზეთში თუ ასეთი ცნობა გამოქვეყნდება: „რომარიო დროზე მივიდა ვარჯიშზე და ნორმალურად ივარჯიშა“, ეს არავისთვის არ იქნებოდა საინტერესო. მაგრამ თუ გაზეთში გამოქვეყნდებოდა ცნობა, რომ ბრაზილიელმა ვარჯიშზე ან ვახშამზე დაიგვიანა — ეს ნომერი მყისვე გაიყიდება. დიახ, რომარიოს ოდნავ მაინც რომ დაერღვია დისციპლინა, საღამოს ამის შესახებ ტელევიზიის უკანასკნელი ცნობების საშუალებით უკვე მთელი ესპანეთისათვის იყო ცნობილი. შეუძლებელია სისტემატიურად იყო ასეთი პრესის ქვეშ. რომარიოც ხომ ისეთივე ადამიანია, როგორც მე და თქვენ.

● ***მაგრამ იგი ხომ, უნდა ვიფიქროთ, მაინც სხვაგვარ მიდგომას მოითხოვს, ვიდრე დანარჩენი მოთამაშეები?***

— მოთამაშეებს დიფერენცირებულად უნდა მიუდგე. მეკარეებს სხვანაირად, ვიდრე მცველებს, მცველებს განსხვავებულად, ვიდრე თავდამსხმელებს. რა თქმა უნდა, ისეთი ნიჭიერი და არაორდინარული მოთამაშეები,როგორიც რომარიოა, რომლის მსგავსი ყოველწლიურად როდი წინაურდებიან, განცალკევებით დგანან. რა თქმა უნდა, უფრო იოლი იქნებოდა ამ მოთამაშის მოცილება, იმის თქმა, რომ მე შენ როგორც მწვრთნელს, არ მჭირდები, ადამიანური თვისებების გათვალისწინებით. ამასთან შედარებით გაცილებით უფრო რთულია რომარიოს 180 გრადუსით გუნდისკენ შემობრუნება, რათა იგი გუნდის ინტერესებით გაიმსჭვალოს, მასთან ერთად იცხოვროს.

● ***მწვრთნელმა ბრაზილიელის უცნაურობებზე თვალი უნდა დახუჭოს?. არ გინდა ვარჯიში, არა უშავს, წადი, დაისვენე. ამასობაში სხვა მოთამაშეები კი გამწარებულნი იბრძვიან მცხუნვარე მზის ქვეშ?***

— რომარიომ სხვებზე უკეთ იცის, რამდენი უნდა ივარჯიშოს, რომ კარგი მზადყოფნა ჰქონდეს.

● ***არ გეშინოდათ, რომ ასეთი მიდგომით „ვარსკვლავის“ გავლენის ქვეშ აღმოჩნდებოდით?***

— არა, მე ეს არ მემუქრებოდა. მე ვფიქრობდი, რომ ჩემთვის, როგორც მწვრთნელისათვის, დიდი პატივი იყო იმ გუნდის ხელმძღვანელობა, სადაც რომარიო ითამაშებდა. მე მაშინაც კი, როცა მოთამაშე ვიყავი, შემეძლო ტალანტების შეფასება და არაერთგზის მითქვამს, რომ ბედნიერი ვარ გამოვიდე მარადონასთან ერთად არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში.

იცვლებიან მწვრთნელები, რომარიო კვლავინდებურად რომარიოდ რჩება, ფეხბურთელად, რომლის „მართვა“ მეტისმეტად ძნელია. ისე კი, მას ახლა მხოლოდ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი „მართავს“. ამბობენ იმასაც, რომ ჭირვეულ ვარსკვლავთან ლაპარაკი მხოლოდ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელ ზაგალოს შეუძლია, მაგრამ ეს ხომ იგივე მსოფლიო ჩემპიონატის ფაქტორის გამოყენებას ნიშნავს.

1994 წელი. რომარიო მსოფლიოში პირველია (ფოტოზე მარცხნივ); შუაში — ავულანჟი, მარჯვნივ — ხ. სტოიჩკოვი

ბობი ჩარლტონი ეგვიპტის ღირსშესანიშნაობებთან

სერ ბობი ჩარლტონი



დაბადების თარიღი – 11.10.1937
ინგლისის ნაკრებში ჩაატარა 106 მატჩი (გაიტანა 49 გოლი).
1958, 1962, 1966 (გახდა მსოფლიოს ჩემპიონი), 1970 წლების მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე.
„მანჩესტერ იუნაიტედში" გამოდიოდა 1956-73 წლებში. ჩაატარა 604 მატჩი (გაიტანა 247 გოლი).
ინგლისის ოთხგზის ჩემპიონი.
ასოციაციის თასის ერთგზის გამარჯვებული
ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1968 წ.)
დასახელებულ იქნა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად 1966 წელს.
ამჟამად „მანჩესტერ იუნაიტედის" დირექტორია.

სამოცი წლის და კვლავ სამართლიანად მოთამაშე

თუ როდისმე რომელიმე ფეხბურთელის სახელი გახლდათ „FAIR Play"-ის სინონიმი, ეს უნდა ყოფილიყო სერ ბობი ჩარლტონი, რომელმაც სერ-ის წოდება 1994 წელს მიიღო. „FIFA MAGAZINE" ესაუბრა ამ საფეხბურთო ლეგენდას კაიროში, სექტემბრის ბოლო რიცხვებში, როცა იქ 17 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობდა და თანაც ფიფას მიერ გამოცხადებული „FAIR Play"-ის დღეები აღინიშნებოდა (20-21 სექტემბერი). ბობი ჩარლტონი კი ამ ორივე მოვლენაზე საპატიო სტუმრად იყო მიწვეული ფიფას მიერ.

● ***ბობი, ძნელად დასაჯერებელია, რომ თქვენ 11 ოქტომბერს 60 წლის გახდებით...***

– ვიცი, მაგრამ ეს სიმართლეა. თუმცა სამომავლოდ არაფერ განსაკუთრებულს არ ვგეგმავ გარდა კვლავინდებურად ფეხბურთის თამაშისა Moss side-ში – მანჩესტერის ერთ-ერთ უბანში. იმ ხალხმა, ვინც იქ სათამაშოდ მიწვევს, იციან ჩემი პირობა – თამაშის დროს არაფერი არ უნდა დამითმონ.

● ***ფეხბურთელი ყოველთვის ფეხბურთელად რჩება. მაგრამ ხომ არ ისურვებდით იყოთ პროფესიონალი ფეხბურთელი ახლა, ამ ასაკში, ადრე 50-იან, 60-იან და 70-იან წლებში?***

– მე ყოველთვის ვისურვებდი ფეხბურთელად ყოფნას. ეს იყო ყველაფერი, რაც მე მინდოდა ცხოვრებაში – თამაში ჩემთვის მშვენიერი რამ არის. მაგრამ მე ჩავწვდი თქვენი კითხვის არსს და უნდა ვაღიარო, რომ უპირატესობას მაშინდელ დროს მივანიჭებდი.

● ***ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ თანამედროვე ფეხბურთი ცუდი გზით მიდის?***

– არა, ეს არ არის ასე. მაგრამ ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ მის კეთილდღეობას და არ უნდა ჩავთვალოთ ეს უტყუარ ფაქტად. ყველას გვაკისრია კოლექტიური პასუხისმგებლობა ფეხბურთის წინაშე. ჩვენ გვაქვს შეცბუნების საბაბი – რაც ამ მომენტისთვის ფული ტრიალებს ფეხბურთში, განსაკუთრებით კი ინგლისში მეტისმეტად მიმაჩნია. ფული ქმნის დაძაბულობას, ზეწოლას და ახალგაზრდა ფეხბურთელებს ყოველთვის არ შეუძლიათ თავი გაართვან ასეთ ფაქტორებს. ეს ისეთი ასპექტებია ფეხბურთში, რომელთაც ჩემს დროს ადგილი არ ჰქონდათ, ხოლო თუ ჰქონდათ, გაცილებით უფრო დაბალ ხარისხში.

● ***თქვენ, როგორც მოთამაშეს ფეხბურთის ჯენტლმენის რეპუტაცია გქონდათ და თუ გესმოდათ, რომ ბავშვებისთვის კარგი მაგალითის მოდელს წარმოადგენდით?***

– არა, ყოველ შემთხვევაში, კარიერის ადრეულ წლებში მაინც. პირველ რიგში მინდოდა მეთამაშა იმდენი, რამდენიც შემეძლო, მაგრამ ის კი მართალია, რომ კარიერის მიწურულს მე დავიწყე გათვითცნობიერება განსაზღვრული პასუხისმგებლობისა.

● ***როგორ ფიქრობთ, თქვენი პრინციპებით შეძლებდით დღევანდელ ფეხბურთში „არსებობას"?***

– ვფიქრობ კი – თუმცა ჩემი 20-30 წლის წინანდელი „ხულიგანი" მეტოქე მცველები ამას არ დაიჯერებენ. მე მაშინ იძულებული ვიყავი მესწავლა, თუ როგორ გამერთვა თავი მათთვის. მაგრამ, ვფიქრობ ახლა უფრო ძნელი გახდა მოიქცე სამართლიანად, რადგან ახლა უფრო მეტი მოთამაშე ცდილობს შეგაჩეროს რადაც არ უნდა დაუჯდეს. ისე, მე ყოველთვის მჯეროდა, რომ მქონდა უპირატესობა ყველა ასეთი ფეხბურთელის მიმართ, რის გამოც ისინი რჩებოდნენ გაწბილებულნი, მე კი არა.

● ***თქვენი საკუთარი დამოკიდებულება სამართლიანი თამაშის მიმართ – საიდან გაჩნდა ის. ბუნებრივად გქონდათ თანდაყოლილი?***

– მე ამით დიდად ვარ დავალებული ჯიმი მარფის წინაშე, რომელიც იყო „მანჩესტერ იუნაიტედის" მენეჯერის მატ ბასბის ასისტენტი მაშინ, როცა მე 15 წლის ვიყავი და საფეხბურთო კარიერას ვიწყებდი ამ კლუბში. ჯიმი მარფი მეუბნებოდა ხოლმე: „ყური მიგდე, კამათი შენ მხოლოდ უსიამოვნებებს მოგიტანს, რის გამოც შეიძლება მინდვრის დატოვებაც მოგიხდეს და ვერ შეძლებ თამაშს. ხოლო თუ ვერ შეძლებ თამაშს, მაშინ იმას ვერ შეძლებ, რომ დახვეწო და გააუმჯობესო შენი თამაში". ეს, რა თქმა უნდა, უბრალო რამ იყო, მაგრამ აბსოლუტურად მართალი. ამან მე გამაგებინა, რომ არასამართლიანი თამაში, ჩხუბი და კამათი არის ნამდვილად არაფერი სისულელის გარდა.

... მე შემეძლო არასოდეს გამეგო ეს როგორც მოთამაშეს და საკმაოდ პატიოსნად გეუბნებით, რომ ახლაც არ გამითვითცნობიერებია ეს.

● ***ალბათ თვლით, რომ დღეს მწვრთნელებიდან და მენეჯერებიდან ძალიან ცოტას თუ აქვს ასეთი პოზიცია თავიანთი ფეხბურთელების მიმართ?***

– მწვრთნელებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ. მათთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თითოეულ ფეხბურთელს ინდივიდუალურად ესაუბრონ, როგორც ამას ჯიმი მორფი აკეთებდა ჩემთან. ეს არის ერთ-ერთი გზა მწვრთნელის პერსონალური სიახლოვისა ფეხბურთელთან. მწვრთნელის საუბარი მთელ გუნდთან, როცა ის ელაპარაკება მოთამაშეებს თამაშის სულიერი, ფსიქოლოგიურ ასპექტებზე არ გახლავთ ისეთი ეფექტური, როცა მწვრთნელი თითოეულ ფეხბურთელთან ინდივიდუალურად მუშაობს მათი ხასიათების შესაბამისად. მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ მწვრთნელები დღევანდელ დღეს თვითონ არიან დიდი ზეწოლის ქვეშ მოქცეულნი და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძირითადი და საბოლოო პასუხისმგებლობა ფეხბურთელების ქცევის მიმართ უფრო ფეხბურთელებს აკისრიათ.

● ***მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელებს ესაჭიროებათ ხელმძღვანელობა და რჩევა...***

– ნამდვილად, ისევე როგორც საერთოდ ყველა ახალგაზრდა ხალხს. საუბედუროდ, ახალგაზრდა ფეხბურთელები დღეს ისეთ რამეებს უყურებენ, რომლებიც აცდუნებენ მათ ცუდი მაგალითების კოპირება მოახდინონ. თუ კარგად ჩაუღრმავდებით, მივხვდებით, რომ ისინი თანდათან „ზეპირად სწავლობენ" მსაჯს. მაგალითად, როცა ორი ფეხბურთელი დაკარგული ბურთისთვის მიექანება, მაშინ შესაძლებელია მაისურზე ცოტათი მაინც მოქაჩო მეტოქეს, რადგან მსაჯი ამას დიდ ყურადღებას არ მიაქცევს. მაგრამ მჯერა, რომ ახალგაზრდობას აქვს თანდაყოლილი უნარი გაარჩიოს თეთრი და შავი. კარგად მახსოვს ის პერიოდი, როცა პოლ გასკოინი იყო იდეალი ბავშვებისთვის და ასოციაციის თასის ფინალში მან ერთობ უმსგავსო საქციელი ჩაიდინა, რის შემდეგაც მისმა პოპულარობამ მყისვე ჩაყვინთა კარგა ხნით. ასე რომ, ბავშვებს ჩამოყალიბებული აქვთ თავიანთი სტანდარტები ასეთი ფაქტორების მიმართ.

● ***ზოგიერთი ცინიკოსი თვლის, რომ თუ ყველა სამართლიანად ითამაშებს, ფეხბურთი მოსაბეზრებელი გახდება...***

– თუ ასე თვლიან, მაშინ ისინი არა მარტო ცინიკოსები არიან, არამედ გულმავიწყნიც, რადგან ყველა დიდი ფეხბურთელი სუფთად თამაშობდა. მე არასოდეს მინახავს ისეთი ბეკენბაუერი, რომელსაც უხეშად ეთამაშოს ან სერიოზული ტრავმა მიეყენებინოს ვინმესთვის. იგივე ითქმის პელეზე, პუშკაშზე, კრუიფზე, ეუსებიოზე, ჰენტოზე, გულიტზე.. მათ არ სჭირდებოდათ ეს. ხოლო ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც მთელი თავიანთი კარიერის მანძილზე უხეშობდნენ, ადვილად ავიწყდება ხალხს. მე კი რეალურად არასოდეს დავინტერესებულვარ შემწევდა თუ არა ძალა უხეშობისათვის ან თაღლითობისათვის – ეს უფრო იმის აღიარებას ჰგავს, რომ არ შემეძლო გამეკეთებინა ასეთი რამეები სამართლიან გზაზე.

● ***თქვენ წეღან ფული და თანამედროვე ფეხბურთი ახსენეთ. რაც ალბათ პრობლემატურად მიგაჩნიათ...***

– ძალიან. უაღრესად არსებითია, რომ ფეხბურთი თავის საქმეებს თვითონ აკონტროლებდეს – ფეხბურთს ფიფა მართავს და არა ტელევიზია. ფიფას მოვალეობაა, რომ ამ მხრივ ყველაფერი ნათელი იყოს. ტელევიზია ფეხბურთის მნიშვნელოვანი ნაწილია და ტელემაგნატები ალბათ ფიქრობენ, რომ ისინი წყვეტენ თუ როგორ მართონ ფეხბურთი, ან სულ მცირე სურთ, მაგრამ ეს მათი მოწოდება არ გახლავთ.

● ***არის ფულის ის ფაქტორი, რომელიც „FAIR Play"-ის მიმართ პატივისცემას ართულებს?***

– პროფესიონალი ფეხბურთელი არის აგრეთვე თავისებური შოუმენი. მას უხდიან იმისათვის, რომ ხალხი გაართოს. მაგრამ არავის უნდა გადაიხადოს ფული ბინძური თამაშის ყურებაში. ფეხბურთელის მოვალეობაა იყოს მზად სანახაობების გამართვისათვის. მაგრამ თუ პუბლიკას არ ანიჭებს სიამოვნებას ამა თუ იმ ფეხბურთელის ყურება (მოთამაშის ცუდი ქცევის გამო), მაშინ ეს ფეხბურთელი თვითონ უკრძალავს საკუთარ თავს თამაშს და მოქმედების მიღმა რჩება.

● ***აქ, კაიროში თქვენ რამდენიმე დისკუსია გამართეთ „FAIR Play"-ზე და საერთოდ, ფეხბურთზე...***

– დიახ, და დარწმუნებული ვარ, რომ ეს საუკეთესო გზაა „FAIR Play"-ის იდეის განვითარებისთვის. განსაკუთრებით სკოლებში და ახალგაზრდულ გუნდებში. ეს მართლაც საინტერესო გახლდათ, როცა სხვადასხვა ხალხები ერთმანეთს უზიარებდნენ შეხედულებებს ფეხბურთზე.

მე კი ყოველთვის მსიამოვნებს ფეხბურთზე საუბარი, მის პოზიტიურ ასპექტებზე. ჩემთვის ფეხბურთი არ არის უბრალოდ საუკეთესო თამაში, ის არის მხოლოდ თამაში.

თარგმნა
დათო თავართქილაძემ

ლეგიონერთა გზები

ნიჟს ყველა ამჩნევს

მცველი **ლევან სილაგაძე**, ნახევარმცველი **ალეკო რეხვიაშვილი**, თავდამსხმელი **დავით ჩალაძე** წარმატებით იცავენ რიგის „სკონტოს" ღირსებას. ცნობილი გახდა, რომ მალე ეს ფეხბურთელები სხვადასხვა უცხოურ კლუბებს მიაშურებენ კარიერის გასაგრძელებლად.

ლევან სილაგაძე ამ დღეებში გასასინჯად დორტმუნდის „ბორუსიას" მიაშურებს. იქაური იტალიელი მწვრთნელი ნევიო სკალა კარგა ხანია ჩვენებურს აკვირდება. მას შემდეგ, რაც სკალამ საქართველო-იტალიის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩის ვიდეოჩანაწერი იხილა, იგი დაუკავშირდა გერმანიაში მოღვაწე ლიცენზირებულ აგენტს ილია კოკაიას და სთხოვა ლევანი „ბორუსიაში" მოეწვია.

სილაგაძის დარად, ალბათ, გერმანიის ბუნდესლიგაში გააგრძელებს გამოსვლას დავით ჩალაძეც. ეგაა, კონკრეტულად, რომელ კლუბში, ჯერჯერობით უცნობია.

„ბარსელონასა" და „ვალიადოლიდის" წინააღმდეგ მშვენივრად ითამაშა რეხვიაშვილმაც. სავარაუდოა, რომ ქართველ ლეგიონერს თავისთან მიიწვევს რომელიმე ესპანური კლუბი. ისე, „რეხვის" სხვა ვარიანტიც გაუჩნდა – მას ისრაელის გუნდებიც ეპატიჟებიან.

P.S. მივიღეთ რუსეთის საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ცნობაც – ვლადიკავკაზის „ალანიას" მთავარ მწვრთნელს ვალერი გაზაევს მოუწადინებია თავის გუნდში

ლეგიონერთა გზები

იხილოს ლევან სილაგაძე და დავით ჩალაძე. ამასთანავე, გაზაევის თქმით, გასაყიდ მოთამაშეთა სიაში შეყვანილი სხვა ქართველი ლეგიონერი – მიხეილ აშვეთია. ოსთა მწვრთნელმა ახევე სინანული გამოთქვა იმის თაობაზე, რომ თბილისის „დინამოს" კლუბის მეპატრონეებმა უარი შეუთვალეს ნახევარმცველ ლევან კობიაშვილის გადმოყვანაზე (ჩვენებური „ალანიაში" ერთი წლით იყო განათხოვრებული და ამ ვადის გასვლის შემდეგ კვლავ „დინამოს" საკუთრება გახდა).

სამგზის გაძევება გაგიგონიათ?

შოტლანდიური „აბერდინის" თავდამსხმელმა დინ უინდასმა ქვეყნის ჩემპიონატის ერთ კალენდარულ მატჩში სამგზის გაძევება დაიმსახურა.

როგორ? რა თქმა უნდა, მინდვრიდან მხოლოდ ერთხელ გააძევეს („დანდი იუნაიტედთან" 0-5) მეორე გაფრთხილების მიღების გამო, როცა იგი მსაჯის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა. მაგრამ, როცა სადისციპლინო კომისიის წევრები ვიდეოჩანაწერს იხილავდნენ, მათ ყურადღება მიაქციეს ამ ეპიზოდს და ფეხბურთელის უაღრესად უხამს ჟესტს. ამის გამო დინ უინდასი მეორე წითელი ბარათით „დააჯილდოვეს". ამას შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ მესამე წითელი ბარათიც დაუმატა, რადგან მინდვრიდან გასვლისას გაბრაზებულმა უინდასმა მოგლიჯა კუთხის პატარა ალამი და მიწაზე დაანარცხა.

ისე რომ, სამი წითელი ბარათის „მფლობელმა" დინ უინდასმა დიდხანს, 27 დეკემბრამდე უნდა დაისვენოს.

ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები ფეხბურთში ● ამბები

ინგლისი

XVI ტური

ეს დღეც დადგა – თემურ ქეცბაიამ პრემიერ-ლიგაში პირველი გოლი გაიტანა. ამბავი „კრისტალ პალასის" მოედანზე მოხდა. ქართველმა ლეგიონერმა ამ მატჩშიც გამოიჩინა თავი. მან პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ანგარიში გახსნა, შემდეგ კი თავისი აქტიური თამაშით იონ დალ ტომასონს საგოლე პასი შეუსრულა. მასპინძელთა ერთადერთ საპასუხო გოლს უკვე არაფრის შეცვლა არ შეეძლო. საბოლოოდ „ნიუკასლმა" გაიმარჯვა 2-1.

სხვა მატჩები: ბარნსლი – ლიდსი 2-3, ბოლტონი – უიმბლდონი 1-0, ჩელსი – დერბი ქაუნთი 4-0 (სამი გოლი ძოლამ გაიტანა), ქოვენტრი – ლესტერი 0-2, ევერტონი – ტოტენჰემი 0-2, საუჰემპტონი – შეფილდი 2-3, ვესტ ჰემი – ასტონ ვილა 2-1.

გერმანია

XVII ტური

მსაჯის მიერ დამატებულ დროში ბულგარელი ლეგიონერის მარიან ხრისტოვის მიერ გატანილმა ბურთმა „კაიზერსლაუტერნს" მორიგი სამი ქულა მოუტანა „ჰამბურგთან" შეხვედრაში და მომავალ წლამდე მიუწვდომელი გახადა მდევართათვის.

ბუნდესლიგის პირველი წრე კი ლევერკუზენის „ბაიერსა" და მიუნხენის „ბაიერნს" შორის მატჩით დასრულდა, მაგრამ მისი შედეგის (4-2 „ბაიერის" სასარგებლოდ) მიუხედავად, მეორე ადგილზე მყოფმა ბავარიელებმა დაკარგეს ლიდერის დაწევის შანსი. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევაა ბუნდესლიგის 34-წლიან ისტორიაში, როცა დაბალი ლიგიდან გადმოსული გუნდი საშემოდგომო ჩემპიონი ხდება.

სატურნირო მდგომარეობა პირველი წრის შემდეგ:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
კაიზერსლაუტ.	17	12	3	2	37-21	39
ბაიერნი	17	10	5	2	37-19	35
შტუტგარტი	17	8	5	4	35-21	29
ბაიერი	17	8	5	4	34-22	29
შალკე-04	17	8	5	4	20-15	29
ჰანზა	17	7	3	7	27-24	24
დუისბურგი	17	7	2	8	20-22	23
ვოლფსბურგი	17	7	2	8	22-25	23
ჰერტა	17	6	4	7	21-26	22
ვერდერი	17	6	4	7	19-25	22
დორტმუნდი	17	5	6	6	26-24	21
კარლსრუე	17	5	5	7	27-34	20
მიუნხენ-1860	17	5	5	7	21-30	20
არმინია	17	6	1	10	23-28	19
ჰამბურგი	17	5	4	8	23-28	19
მიონხენგლადბახი	17	4	6	7	27-32	18
ბოხუმი	17	4	4	9	21-30	16
კიოლნი	17	5	1	11	24-38	16

ბომბარდირები: კირსტენი (ბაიერი) – 14, მარშალი – (კაიზერსლაუტერნი) – 13.

ნბა: შარშანდელმა ჩემპიონმა უკვე მეშვიდედ წააგო, ხოლო მაჩანჩალა „დენვერმა“ პირველად გაიმარჯვა

რიკ სმითმა „ხარების“ ტყავი დახია“...

„ხარებმა“ ისევ წააგეს, ამჯერად მათი ტყავი „ინდიანას“ ლიდერებმა რეჯი მილერმა (24 ქულა) და რიკ სმითმა (18) „დახიეს“. მარტო ჯორდანის ოსტატობა კი (26 ქულა) „ჩიკაგოს“ აღარ შველის. „ინდიანა“ — „ჩიკაგოს“ მატჩის ანგარიშია 94:83.

შაკილ ო'ნილის გარეშე (იგი ტრავმირებულია) დარჩენილი „ლოს-ანჯელეს ლეიკერსიც“ უკვე მეორედ დამარცხდა. ამ ამბავში ლომის წილი გაიღეს „ფილადელფიას“ საუკეთესო ახალბედა ალენ აივერსონმა (31 ქულა) და ჯიმ ჯეკსონმა (16). „ფილადელფია“ — „ლეიკერსის“ შედეგია 105:95.

სხვა მატჩები: დეტროიტი — ნიუ-იორკი 86:78, ბოსტონი — ფინიქსი 108:112 (ოვერტაიმსი), შარლოტი — კლივლენდი 91:97, დალასი — ტორონტო 93:91. დენვერი — მინესოტა 95:84, ორლანდო — მილუოკი 94:90, პორტლენდი — ჰიუსტონი 89:98, იუტა — გოლდენ სტეიტი 111:82, სიეტლი — საკრამენტო 113:96, კლიპერსი — ნიუ-ჯერსი 92:104.

ატლანტიკის დივიზიონი

	მ.	წ.
მაიამი	10	4
ორლანდო	10	5
ნიუ-იორკი	9	5
ნიუ-ჯერსი	9	5
ბოსტონი	7	8
ვაშინგტონი	5	10
ფილადელფია	4	8

შუა აღმოსავლეთის დივიზიონი

ატლანტა	12	2
შარლოტი	9	4
მილუოკი	8	6
კლივლენდი	8	6
ინდიანა	7	6
ჩიკაგო	8	7
დეტროიტი	6	10
ტორონტო	1	14

შუა დასავლეთის დივიზიონი

ჰიუსტონი	7	5
სან-ანტონიო	8	6
იუტა	8	6
მინესოტა	6	8
ვანკუვერი	6	10
დალასი	4	10
დენვერი	1	12

პასიფიკის დივიზიონი

ლეიკერსი	1	12
ფინიქსი	9	2
სიეტლი	12	3
პორტლენდი	10	5
საკრამენტო	5	10
კლიპერსი	2	13
გოლდენ სტეიტი	1	12

რა ხდება ქვეყანაზე

შვარცენეგერი, ახლა კი ჯორდანი

„პლანეტა ჰოლივუდი“, როგორც ცნობილია, კინოვარსკვლავის არნოლდ შვარცენეგერის რესტორნების იმპერიას ეწოდება. კალათბურთელ მაიკლ ჯორდანის რესტორნების ქსელის შესახებ კი აქამდე არაფერი ვიცოდით.

ამბობენ, რომ საქვეყნოდ სახელგანთქმული ცენტრალური თავდამსხმელი ძველებურად ძლიერი აღარ გახლავთ, და ეს დაეტყო კიდეც „ჩიკაგოს ხარების“ თამაშს. გამორიცხული არ არის, რომ ლეგენდარული კალათბურთელი მალე მთლიანად ბიზნესზე გადაერთვება. გაზეთი „ნიუ-იორკ დეილი ნიუზი“ იტყობინება, რომ პირველი მერცხალი ჯორდანისათვის ახალ ასპარეზზე იქნება რესტორანი აშშ-ის უდიდეს ქალაქში და ნიუ-იორკის ღირსშესანიშნაობათა რიცხვს გაადიდებს; თუმცა ამ დიდ მოთამაშეს მანამდეც ჰქონია ერთი რესტორანი ჩიკაგოში. ახლა რესტორნების განშტოებულ ქსელზეა ლაპარაკი, იმავე ყაიდისა, როგორსაც შვარცენეგერი პატრონობს.

როგორ იძუნწეს თურქებმა

სპორტსმენების ყიდვა-გაყიდვა საბაზრო ეკონომიკის ორგანული კომპონენტია (ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში ჯერჯერობით მხოლოდ გაყიდვასთან „გვაქვს საქმე“). ათიოდე წლის წინათ ბულგარელებმა თურქებს ერთ მილიონ დოლარად „დაუთმეს“ ძალოსანი ნაუმ სულეიმანოვი (თურქეთში იგი, რასაკვირველია, ნაიმ სულეიმანოღლუდ იქცა). სხვათა შორის, უფრო შეძლებულ თურქეთში ათლეტის გადასვლის შემდეგ იქ ნამდვილი ძალოსნური ბუმი ავარდა.

სხვაგვარად წაუვიდა საქმე ბულგარელსავე მოკრივეს სერაფიმ ტოდოროვს. ეს სპორტსმენი ბოშა გახლავთ, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონია და სამ ენაზე ლაპარაკობს — მშობლიური ბოშურის გარდა, ბულგარულსა და თურქულზე. მან მუსლიმანური სახელიც მიიღო — ახმედ საბრი, მაგრამ არც ენის ცოდნამ [illegible], არც ახლებურად მონათვლამ. თურქებმა იძუნწეს და [illegible] 150 ათასი დოლარი არ გადაუხადეს: 50 ათასზე მეტი არ ღირხარო. ამბიციური მოკრივე ერთობ იმედგაცრუებული დარჩა.

— მთელი ამ გადასასვლელი დავიდარაბის გამო ბუდაპეშტში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ შევძელი გამგზავრება და კიდევ ერთი ოქროს მედლის მოპოვება. ახლა პროფესიონალებში ვაპირებ გადაბარგებას და გერმანიაში დავიწყებ მუშტების ქნევასო, — სევდიანად განუცხადებია მას რეპორტიორებისათვის.

თამაზ ილმელი

სპორტის კომერციალიზაცია

„ოქროს ლიგა“ — რეფორმა მძლეოსნობის სამყაროში

რეფორმა, რომელიც ათლეტებს მილიონებს მოუტანს

მძლეოსანი, რომელიც რვა კვირის განმავლობაში რვა შეჯიბრებაში მოიგებს პროგრამის საკუთარ სახეობას, მილიონერი გახდება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: 1 მილიონი ამერიკული დოლარით დაჯილდოვდება. ეს განაცხადა იააფ-ის პრეზიდენტმა პრიმო ნებიოლომ.

მომავალი წლიდან შემოღებული იქნება „ოქროს ლიგა“ — ასპარეზობათა სერია მსოფლიოს მძლეოსანთა ელიტისათვის, რომელიც ივლისში დაიწყება. ამ სიახლეს თუ წარმატება უწერია, მაშინ 1999 წლისათვის იგი ათ შეჯიბრებამდე გაიზრდება. ეს ნიშნავს, რომ ევროპულ ქალაქებს დაემატება აშშ და იაპონია. „ოქროს ლიგისათვის“ დასახელებულ „დედაქალაქებს“ შორის — რომი, ოსლო, მონაკო, ციურიხი, ბრიუსელი, ბერლინი — მინიშნულია მოსკოვიც. მოლაპარაკებები პარიზში ასპარეზობების თაობაზე ჯერჯერობით გრძელდება.

„ოქროს ლიგის“ საპრიზო ფონდი 1 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს, როგორც უკვე ვთქვით.

უმაღლესი რანგის 35 ათლეტთან დაიდება კონტრაქტები სერიის ყველა შეჯიბრებაში მონაწილეობის შესახებ.

დიახ, ცუდი სეზონი ჰქონდა!

მძლეოსნობის სპეციალისტების აზრით, ისეთი ცუდი სეზონი, როგორც 1997 წელს ბრწყინვალე ამერიკელ მორბენალ მაიკლ ჯონსონს, არასოდეს ჰქონია. მან უფერულად დაიწყო წელი, შემდეგ კი ტორონტოში დონოვან ბეილისთან შეჯიბრში (თუ შოუში) 150 მეტრზე გარბენის დროს ტრავმა მიიღო. ამ სეზონიდან თუ რამე დაამახსოვრდა, ეს იყო ათენში მსოფლიო ჩემპიონატზე 400 მეტრზე რბენაში მოპოვებული ოქროს მედალი.

აი რა განაცხადა თვით მაიკლ ჯონსონმა:

— ამ სეზონმა, შეიძლება ითქვას, მე გამიხანგრძლივა სპორტული კარიერა. ყველაფერი კარგად რომ წარმართულიყო, 1999 წლამდე ვამთავრებდი გამოსვლებს, ახლა კი მეტხანს გავაგრძელებ.

მიმომხილველებმა ამას ფილოსოფიური შეხედულება უწოდეს.

1998 წლისათვის მაიკლ ჯონსონი აპირებს 400 მეტრზე რბენის მსოფლიო რეკორდის მოხსნას, რომელიც ახლა მის თანამემამულე რეინოლდსს ეკუთვნის.


56


3-19


25-10


29-45


65-51

თარაზულად: 11. „ნიუ-იორკის“ კალათბურთელი, ცენტრალური თავდამსხმელი, 27. წარსულში გამოჩენილი ფრანგი ავტომრბოლი, 29. წარსულში გამოჩენილი უნგრელი ფეხბურთელი, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი, 31. ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი, 32-33. „ჩიკაგოს“ ექსტრავაგანტური კალათბურთელი, 36. ბრაზილიელი ჩოგბურთელი ვაჟი, 37-38. რუსი ფეხბურთელი, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბომბარდირი, 41. წარსულში ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი ვაჟი, 42. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ამერიკელი მოჭადრაკე, 44. „რეალის“ ფეხბურთელი, 46. სპორტული შეჯიბრების დასაწყისი, 61. იტალიის საფეხბურთო კლუბი.

შვეულად: 1-16. ინგლისელი ფეხბურთელი, საპატიო წოდება „სერის“ მფლობელი, 2-17. კანადელი ავტომრბოლი, 5. „ბენფიკას“ ფეხბურთელი, 1961-62 წლების ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი, 6. ფრანგი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 23. პორტუგალიელი ფეხბურთელი, 1983, 1985 წლების „ოქროს ბუცის“ მფლობელი, 26. „პორტუს“ ბრაზილიელი ფეხბურთელი, 29. ინგლისელი ფეხბურთელი, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 30. იაპონელი ტანმოვარჯიშე, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი, 55. კვიპროსის საფეხბურთო კლუბი, 56. არგენტინელი ფეხბურთელი, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი *(ფოტო)*, 57. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სამხტომში, 58. წარსულში გამოჩენილი ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი.

დიაგონალურად: 4-15. 1963-74 წლებში ინგლისის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი, 3-19. მსოფლიოს I ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის *(ფოტო)*, 9-24. ამერიკელი სპრინტერი ქალი, რომის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონი, 13-28. „იუვენტუსის“ ფრანგი ფეხბურთელი, 23-11. წარსულში ცნობილი ბერძენი კალათბურთელი, 18-7. მადრიდის „ატლეტიკოს“ საფეხბურთო მწვრთნელი, 22-8. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 25-10. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის *(ფოტო)*, 31-14. ამერიკელი მოცურავე, 9 ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი, 12-26, მსოფლიოს II და XIV საფეხბურთო ჩემპიონატების მასპინძელი ქვეყანა, 20-40. გერმანელი ფეხბურთელი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 39-21. ცნობილი განელი ფეხბურთელი, 34-53. სპორტის სახეობა, 52-35. ცურვის სტილი, 29-45. იტალიის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი *(ფოტო)*, 44-30. რუმინეთის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი, 47-61. „ბოხუმის“ რუსი ფეხბურთელი, 59-43. „რეალის“ იტალიელი ფეხბურთელი, 63-48. „მილანიდან“ „ბარსელონაში“ გადასული ჰოლანდიელი ფეხბურთელი, 65-51. წარსულში გამოჩენილი ქართველი მძლეოსანი ქალი *(ფოტო)*, 66-55. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 62-50. ევროპის 1963 წლის რჩეული ფეხბურთელი, 46-60. თბილისისა და მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელი, მეკარე 1945-54 წლებში, 49-64. წარსულში გამოჩენილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი, 54-68. წარსულში გამოჩენილი უნგრელი ფეხბურთელი, 58-67. ამერიკელი მძლეოსანი, მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი 400 მეტრზე სირბილში.



შეადგინა ბიძინა წირქვაძემ (თბილისი)

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ქილმარი, 3. ნედველი, 8. ალბერტი, 12. იონკი, 14. პრესი, 15. „ციბონა“, 18. სავონი, 27. „დეპორტივო“, 28. კარამბოლი, 34. ევერტი, 35. არტიმე, 36. კეპკე, 37. ოკოჩა, 41. გაზაევი, 47. ედბერგი, 48. ინგლისი.

შვეულად: 1. ქინოლა, 2. ისინდი, 9. ეფენბერგი, 15. ცხადაძე, 16. ბურკაძე, 17. „ადიდასი“, 18. „სევილია“, 19. ოვერატი, 20. იასალდე, 21. ამორო, 22. ფუტრე, 25. გრაფი, 26. იებოა, 29. „სამპდორია“, 41. გერენი, 42. იაშინი.

დიაგონალურად: 10-4. ბრიტო, 10-21. ბიკილა, 6-23. ლიტმანენი, 4-12. ოლსენი, 21-12. ალეზი, 13-5. ინძაგი, 24-7. გოიკოეჩეა, 26-11. იურანი, 13-26. ილინი, 5-11. ილეთი, 39-30 ბაკერო, 43-31. მეტრეველი, 45-37. ალემაო, 39-45. „ბრედა“, 30-37. ოტერო, 38-33. აუიტა, 38-46. ანთაძე, 32-44. ქაირზინიო, 33-40. ანტიჩი, 46-40. ელისი.

„სპორტლოტოს“ შედეგები:

30 ნოემბერს გამართა ლატარია „სპორტლოტო 5-36“-დან გათამაშების 48-ე ტირაჟი, დაშვებული იყო 3984 ვარიანტი. მოგებახვედრილი ციფრები:

27, 16, 1, 8, 33.

5 და 4 ციფრი ვერავინ ამოიცნო. 3 ციფრისათვის (45 ვარიანტი) — 7.70 ლარი. მოგებები განაღდდება 3 დეკემბრიდან 2 იანვრის ჩათვლით.

მორიგი, 49-ე ტირაჟისათვის, რომელიც გაიმართება 7 დეკემბერს, „ჯეკპოტი“ შეადგენს 5559 ლარს, ამასთან ერთად გამარჯვებულს ელოდება გერმანიაში მოგზაურობა.

გიწვევთ ტრადიციულ სპორტული ლატარიების გათამაშებაში.

წარმატება მხოლოდ თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული.

საქართველოს
სპორტის ეროვნული ფონდი

საჭადრაკო ამოცანა

ვ. მოიჭინი (რუსეთი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა: 1. ეh1! – ცუგცვანგი, 1. ...d3 2. მხg1! მფ – 3. მხf3+, 1. ...de 2. კg1! მფ – 3. კ:e3+ 1. ...de 2. კe1+ მფ d1 3. კ:c3+ *(2. ...მფ:e3 3. ეh3+)*

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელო“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძ